

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის განკარგულებები

საძიებელი

N	განკარგულების სარეგისტრაციო ნომერი	განკარგულების მიღების თარიღი	განკარგულების სათაური	გვერდი
1.	N1	12.01.2018	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ	6
2.	N2	12.01.2018	„ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	7
3.	N3	12.01.2018	„ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	8
4.	N4	12.01.2018	„ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	9
5.	N5	12.01.2018	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	10
6.	N6	12.01.2018	„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	13
7.	N7	12.01.2018	„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	14
8.	N8	18.01.2018	ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ	15
9.	N9	18.01.2018	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	16
10.	N10	18.01.2018	„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	18
11.	N11	18.01.2018	„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	19
12.	N12	27.02.2018	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე	20
13.	N13	27.02.2018	ხოზის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე	25
14.	N14	27.02.2018	ხოზის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ	26
15.	N15	27.02.2018	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	27
16.	N16	27.02.2018	ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ	28
17.	N17	27.02.2018	ხოზის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	30

18.	N18	27.02.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის წარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	32
19.	N19	27.02.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	68
20.	N20	28.03.2018	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ	70
21.	N21	28.03.2018	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის წესის დამტკიცების შესახებ	71
22.	N22	28.03.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	73
23.	N23	28.03.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.	74
24.	N24	27.04.2018	ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე	77
25.	N25	27.04.2018	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	109
26.	N26	31.05.2018	ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	111
27.	N27	31.05.2018	ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	113
28.	N28	31.05.2018	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	115
29.	N29	31.05.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	117
30.	N30	31.05.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	118
31.	N31	29.06.2018	ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტი) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	121
32.	N32	29.06.2018	ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	123
33.	N33	29.06.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	125

34.	N34	29.06.2018	„ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	127
35.	N35	31.07.2018	ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასაბუღალტრო ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ	128
36.	N36	31.07.2018	ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ	131
37.	N37	09.08.2018	საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით	158
38.	N38	27.08.2018	ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	160
39.	N39	27.08.2018	ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ	162
40.	N40	27.09.2018	„ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	163
41.	N41	27.09.2018	ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	164



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N1

2018 წლის 12 იანვარი

ქ. ხობი

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N60 დადგენილების 34-ე მუხლის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის თაობაზე.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თემურ გულუას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის ია ჯიშკარიანის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯოხავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N2

2018 წლის 12 იანვარი

ქ. ხობი

„ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N48 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ და 2² პუნქტი:

„2¹. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის გოჩა ჯობავას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

„2². ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის დავითი ცინაძის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N3

2018 წლის 12 იანვარი

ქ. ხობი

„ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილის ახელი ქირიას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოტის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯოხავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N4

2018 წლის 12 იანვარი

ქ. ხობი

„ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N69 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილის გოჩა სიჭინავას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N5
2018 წლის 12 იანვარი
ქ. ხობი**

„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებისა

ხოზის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)		მომხმარებლების რაოდენობა
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი	
1.	მერი	900	-	10800	-	1
2.	მერის პირველი მოადგილე	-	300	-	3600	1
3.	მერის მოადგილე	300	-	3600	-	1
4.	მერიის ადმინისტრაციული სამსახური	200	-	2400	-	1
5.	მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	400	-	4800	-	1
6.	მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური	150	-	1800	-	1
7.	მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, მეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	50	-	600	-	1
8.	მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით	50	-	600	-	1

	გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური					
9.	მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური	150	-	1800	-	1
10.	მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	-	390	-	4680	1
11.	მერიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი	-	150	-	1800	1
12.	მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია	80	-	960	-	1
13.	მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	50	50	600	600	ბენზინი - 21 დიზელი - 1
14.	ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (საზოგადოებრივი ცენტრის ელექტრომომარაგება დიზელის გენერატორით)	-	45	-	540	1

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №3

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლარი)	ლიმიტი წელიწადში (ლარი)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	35	420
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	25	300
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	20	240
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	20	240
5.	საკრებულოს აპარატის უფროსი	20	240
6.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	10	120
7.	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	10	120
8.	საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურე	5	60

9.	ინტერნეტი	5	60“
----	-----------	---	-----

გ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი №5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №5

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსაზღვრული ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტი

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლარი)	ლიმიტი წელიწადში (ლარი)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	20	240
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	20	240
3.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	20	240
4.	საკრებულოს აპარატის უფროსი	20	240
5.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	20	240“

2. განკარგულების „ა“ პუნქტი ამოქმედდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N6

2018 წლის 12 იანვარი

ქ. ხობი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის 18 დეკემბრის N76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N76 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. ავთანდილ ხუნჯუა
3. გენადი ქაძანაია
4. იგორი გოგოლაძე
5. კახა მიქაბერიძე
6. ლაშა ცატავა
7. ფრიდონ შონია
8. გოჩა სიჭინავა
9. თენგიზ აბაკელია
10. კახა ლატარია
11. მერაბ ნადარაია
12. ბექა მამაცაშვილი
13. დავითი ცინაძე“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N7

2018 წლის 12 იანვარი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდი სერგია
8. მამუკა ჭოხონელიძე
9. გოჩა სიჭინავა
10. შადიმან ჭილაია
11. კონსტანტინე ნასარაია
12. მერაბ ნადარაია
13. კახა ლატარია
14. დავითი ცინაძე“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N8

2018 წლის 18 იანვარი

ქ. ხობი

ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N60 დადგენილების 34-ე მუხლის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის თაობაზე.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ თავმჯდომარის კახა ლატარიას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ თავმჯდომარის მოადგილის კობა გოქაძის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედემერი ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N9
2018 წლის 18 იანვარი**

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილების მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ხოზის მუნიციპალიტეტის მერიას განსახილველი საკითხების მომზადება სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიას (თ. გელანტია).
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

დანართი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმა

N	მოსამზადებელი და განსახილველი საკითხის დასახელება	განხილვის ვადა	პასუხისმგებელი საკითხის მომზადებაზე	პასუხისმგებელი შესრულებაზე
1.	2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	ხოზის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
2.	მერიის სამსახურების მიერ 2017 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	I კვარტალი	ხოზის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს შესაბამისი კომისია
3.	ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირები	საკრებულოს შესაბამისი კომისია

4.	მერიის მიერ 2017 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისია
5.	საკრებულოს კომისიების მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს შესაბამისი კომისია	საკრებულოს შესაბამისი კომისია
6.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა	I კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია
7.	საკრებულოს მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	II კვარტალი	საკრებულოს აპარატი	საკრებულოს თავმჯდომარე
8.	ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვა	III კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
9.	მერიის მიერ 2018 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	III კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისია
10.	ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება	IV კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
11.	ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა და დამტკიცება	პერიოდულად	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
12.	სხვა მიმდინარე და ინიცირების წესით შემოსული საკითხების განხილვა	პერიოდულად	ხობის მუნიციპალიტეტის მერია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საკრებულოს შესაბამისი კომისია



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N10

2018 წლის 18 იანვარი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდი სერგია
8. მამუკა ჭოხონელიძე
9. გოჩა სიჭინავა
10. შადიმან ჭილაია
11. კონსტანტინე ნასარაია
12. მერაბ ნადარაია
13. კახა ლატარია
14. დავითი ცინაძე
15. რამინი ხილაძე“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N11

2018 წლის 18 იანვარი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N79 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დოდო გაბუნია
2. მამუკა ჭოხონელიძე
3. ირაკლი ნადარია
4. თენგიზ აბაკელია
5. მზია ლემონჯარია
6. აბელ ქირია
7. კახა მიქაბერიძე
8. დიტო ხასია
9. ავთანდილ ხუნჯუა
10. კონსტანტინე ნასარაია
11. ია ჯიშყარიანი
12. რამინი ხილაძე“

2. განკარგულება ძალაში მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N12

2018 წლის 27 თებერვალი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის
დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლისა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 133-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმი თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

დანართი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის
ოქმი N

ადმინისტრაციული ერთეული: -----

სხდომის ჩატარების ადგილი: -----

სხდომის ჩატარების თარიღი: -----

სხდომის თავმჯდომარე: -----

სხდომას ესწრებოდნენ: -----

დღის წესრიგი: ----- თემის მაჟორიტარი
საკრებულოს წევრის -----
ანგარიშის მოსმენა (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: -----

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: -----

საკრებულოს წევრი: -----

სახელი, გვარი

სხდომის თავმჯდომარე: -----

სახელი, გვარი

სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა რეგისტრაციის ფურცელი
თარიღი: -----

სხდომის ოქმის N -----

N

სახელი გვარი

მისამართი

ხელმოწერა

საკრებულოს წევრი: -----

სახელი, გვარი

სხდომის თავმჯდომარე: -----

სახელი, გვარი



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N13
2018 წლის 27 თებერვალი
ქ. ხობი**

**ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური
სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2017 წლის 22 დეკემბრის N10 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალურ სტადიონს ეწოდოს საფეხბურთო კლუბ ხობის „კოლხეთის“ გამორჩეული ფეხბურთელისა და პედაგოგის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯოხავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N14

2018 წლის 27 თებერვალი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის 2017 წლის 28 ივლისის N4375 და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 22 დეკემბრის N 2-14/14906 წერილების შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტო და სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) შუა ქვალონისა და ქვემო ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „რკინიგზის უშლაგზაუმო გადასასვლელი“ (N1.2 - 1 ცალი);

ბ) ქვემო ქვალონისა და შუა ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოება“ (N1.4.1. - 1 ცალი);

გ) ნოჯიხევის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „რკინიგზის უშლაგზაუმო გადასასვლელი“ (N1.2. - 2 ცალი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოტის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N15

2018 წლის 27 თებერვალი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

- ა) „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 აგვისტოს N48 განკარგულება;
- ბ) „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N26 განკარგულება.

2. განკარგულება ამოქმედდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N16

2018 წლის 27 თებერვალი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის, „ე.დ“ ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხა თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. 3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯოზავა

ხოზის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტის ნუსხა

N	ქონების დასახელება	მისამართი	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	დაკავებული ფართი კვ.მ	აუდიტორული შეფასება (ლარი)	ბიჯი 10%	ბე 10%
1	ადმინისტრაციული შენობა	ქ. ხოზი ცოტნე დადიანის N188	1945		117600	11760	11760
	მათ შორის: პირველი სართული			421.7	36000	3600	3600
	მეორე სართული			562.76	33000	3300	3300
	შენობის ქვეშ არსებული მიწა			548.56	48600	4860	4860



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N17
2018 წლის 27 თებერვალი
ქ. ხობი**

**ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით
გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-54 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯოხავა

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ხობის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება

N	ქონების დასახელება	მისამართი	სართული	სარგებლობის ფორმა	შენობის საერთო ფართი	შენობის საბალანსო ღირებულება (ლარი)	გასაიჯარებელი ფართი მ²	კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი)	ქონების გასხვისების ვადა (წელი)	იჯარის ქირის განაკვეთი	საიჯარო ქირა თვეში	იანვარ- აპრილი
1	ადმინისტრაციული შენობა	ქ. ხობი სტალინის ქ. 6	I	იჯარა	420	94000	100	223.8	2018 წელი	10%	186	2232



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №18

2018 წლის 27 თებერვალი

ქ. ხობი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №84 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 59-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №84 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს თანახმად ამ განკარგულების დანართისა.

2. განკარგულება ამოქმედდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა

გეგმის სარჩევი:

პირველი ნაწილი - რეზიუმე:

- 1.1 დაგეგმვის საფუძველი
- 1.2 გეგმის მიზანი
- 1.3 გეგმის შემუშავების პროცესი
- 1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა
- 1.5 სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა
- 1.6 შედეგების და რეკომენდაციების მიმოხილვა
- 1.7 გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

მეორე ნაწილი - არსებული მდგომარეობა:

- 2.1 გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები
- 2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები
- 2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები
- 2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა

მესამე ნაწილი - მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება:

- 3.1 შესავალი
- 3.2 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები
- 3.3 ნარჩენების რაოდენობა
- 3.4 ნარჩენების პროგნოზირება
- 3.5 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

მეოთხე ნაწილი - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა:

- 4.1 შესავალი
- 4.2 არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა
- 4.3 შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება
- 4.4 ქუჩების დასუფთავება
- 4.5 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები
- 4.6 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)
- 4.7 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო
- 4.8 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება
- 4.9 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

მეხუთე ნაწილი - ნარჩენების ინდუსტრიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები:

- 5.1 შეგროვება და ტრანსპორტირება
- 5.2 აღდგენის პროცესები
- 5.3 საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

მეექვსე ნაწილი - შედეგები და რეკომენდაციები

- 6.1 ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის საჭიროებები
- 6.2 ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება
- 6.3 აღდგენის პროგრამების განხორციელების პროცედურები
- 6.4 საზოგადოებრივი განათლების პროგრამა

მეშვიდე ნაწილი - შედეგები და რეკომენდაციები

- 7.1 ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის საჭიროებები
- 7.2 ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება
- 7.3 აღდგენის პროგრამების განხორციელების პროცედურები
- 7.4 საზოგადოებრივი განათლების პროგრამა

მერვე ნაწილი - სამოქმედო გეგმა, განხორციელების ვადები, დანართები, გამოყენებული ლიტერატურა და გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები:

გბრდს - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

რგის - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

მნმკ - შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;

ნმეს - ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია;

ნმესგ - ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა;

მგვ - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება;

გეს - გარემოს ეროვნული სააგენტო;

WMTR - ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონში;

LFA - „ლოგიკური ჩარჩო - მიდგომა“ (Logical Framework Approach).

ტერმინთა განმარტება:

ნარჩენი - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;

საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

მუნიციპალური ნარჩენები - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;

ინერტული ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს - არ იხრწნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას;

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბალის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო;

სახიფათო ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მე-3 დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი);

სამედიცინო ნარჩენები - სამედიცინო დაწესებულების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

ცხოველური ნარჩენები - ცხოველის სხეული ან მისი სხეულის ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისაგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის;

პრევენცია - ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს:

ა) ნარჩენების რაოდენობას, (მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით);

ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

ხელახალი გამოყენება - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

აღდგენა - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერგიის აღდგენას და

რეციკლირებას (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ პირველ დანართში).

რეციკლირება - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერგიის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.

რეციკლირებადი მასალები - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბადის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

ნარჩენების შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

სეპარირებული შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების ტრანსპორტირება - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე.

ნარჩენების გადამტვირთი სადგური - ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

სანიტარიული ნაგავსაყრელი - მუნიციპალური ნარჩენების კონტროლირებადი განთავსება მიწაში, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ პოტენციურ ნეგატიურ ემისიებს ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგში ან ჰაერში.

დანაგვიანება - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

შეგროვების სისტემა - ნარჩენების შეგროვების სისტემის სხვადასხვა მახასიათებლები, მათ შორის კონტეინერების ტიპი და განლაგება, ნარჩენების შემგროვებელი ტიპი და მარშრუტები, შემგროვებელი ტექნიკის შეკეთება და პრევენციის ღონისძიებები, ასევე შეგროვების სისტემასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა;

საერთო სარგებლობის კონტეინერები - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერები, რომლებიც განლაგებულია ქუჩებში მოსახლეობის საერთო სარგებლობისათვის ან/და რამდენიმე ოჯახის საერთო სარგებლობისათვის.

საექსპლუატაციო პერიოდი - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სატრანსპორტო საშუალება განიცდის ცვეთას.

ნაგავსაყრელის ოპერატორი - ნაგავსაყრელის მართვაზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

მომსახურების დაფარვის ზონა - ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდების ზონის გეოგრაფიული არეალი, ასევე ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიმღები მოსახლეობის ნაწილი (გამოსახული მთლიანი მოსახლეობის პროცენტული წილიდან).

ქუჩების დასუფთავების ნარჩენი - ქუჩისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვისა და დასუფთავების, ასევე მუნიციპალიტეტის საწრეტი არხების დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები.

ნარჩენების შემგროვებელი - პირი, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების შეგროვებაზე, მათ შორის წინასწარ დახარისხებასა და წინასწარ შენახვაზე ნარჩენების გადამტვირთავ სადგურამდე ან დამუშავების ობიექტამდე ტრანსპორტირებაზე.

პირველი ნაწილი: რეზიუმე

1.1. დაგეგმვის საფუძველი:

„ხოზის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა“ მომზადებულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილების საფუძველზე, ხოზის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 დეკემბრის №01-827-01 ბრძანებით დამტკიცებული „ხოზის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის“ მიერ.

1.2. გეგმის მიზანი:

„გეგმის“ მიზანია მუნიციპალური ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ნარჩენების მართვის ეროვნულ პოლიტიკასთან. „გეგმა“ მოიცავს 2018-2022 წლებს და იგი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ექვემდებარება განახლებას და შესაბამის კორექტირებას. ხოზის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების ნარჩენების მართვის გეგმაში მოცემული ფინანსური გათვლები საპროგნოზოა და დაზუსტდება კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრის შესაბამისად. ნარჩენების მართვის გეგმა ითვალისწინებს არსებული სიტუაციის შეფასებას და გამოწვევების იდენტიფიცირებას; ასევე შესაბამისი მიზნების განსაზღვრასა და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას. თითოეული დასახული მიზნისათვის ნარჩენების მართვის გეგმაში გაწერილია ამოცანები (შესრულების ვადების მითითებით). თითოეული ამოცანის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შეადგენენ ნარჩენების მართვის გეგმის ძირითად ნაწილს. აუცილებელია განისაზღვროს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ამოცანები. ღონისძიებები კი აუცილებლად კონკრეტული უნდა იყოს და მითითებული ჰქონდეს შესრულების ვადები. ამოცანებისა და ღონისძიებების განსაზღვრისას, სავალდებულოა ეკოლოგიური სარგებლის და ტექნიკურ-ფინანსური საკითხების გათვალისწინება, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო პირობების შექმნა.

1.3. გეგმის შემუშავების პროცესი:

„გეგმა“ ორიენტირებულია, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობაზე, ნარჩენების მართვის ეროვნულ ინტეგრირებულ სისტემაში მუნიციპალიტეტის როლის ოპტიმიზაციაზე. „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიით“ (თავი 3.2) განსაზღვრულია სახელმწიფოს ხედვა - „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“ - რისი მიღწევაც შესაძლებელია შემდეგი მოქმედებების შესრულებით:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება;
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვა;
- ხარჯების სრული ამოღების დანერგვა;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის ხელშეწყობა;
- სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა;
- განსაზღვრული მიზნების მისაღწევად წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა.

„გეგმის“ შემუშავების პროცესში წარმოდგენილი ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღწეული უნდა იქნეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხარჯთეფექტიანი და მდგრადი სისტემის შექმნა.


„გეგმის“ შემუშავების პროცესი წარიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული, პროგრამის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR)“ ფარგლებში შემუშავებული, „მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების სახელმძღვანელო დოკუმენტი“-სა და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ

ორქისის მიერ შემუშავებული „ნარჩენების მართვის გეგმის შედგენის სახელმძღვანელო“-ს შესაბამისად.

„გეგმის“ შემუშავების პროცესში, გამოყენებული იყო „ლოგიკური ჩარჩო - მიდგომა“ LFA (Logical Framework Approach), რომელიც ითვალისწინებს არსებული სიტუაციის შეფასებას და გამოწვევების იდენტიფიცირებას, ასევე, შესაბამისი მიზნებისა და პრობლემის გადაჭრის გზების განსაზღვრას. თითოეული დასახული მიზნისათვის „გეგმაში“ გაწერილია ამოცანები (შესრულების ვადების მითითებით). თითოეული ამოცანის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც სამოქმედო გეგმის ძირითადი ნაწილია.

„ლოგიკური ჩარჩო - მიდგომა“ LFA შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

- ხედვა
- მიზნები (ხედვის შესაბამისად);
- ამოცანები (მიზნების შესაბამისად);
- ღონისძიებები (ამოცანების შესაბამისად);



აღნიშნული მეთოდის საშუალებით განისაზღვრება მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ამოცანები. ღონისძიებები კი არის კონკრეტული და მითითებული აქვს შესრულების ვადები.

1.4. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა:

დღეის მდგომარეობით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა და საჭიროებს გამოსწორებას, რაც

გათვალისწინებულია 2018-2022 წლების გეგმით. დღეის მდგომარეობით ნარჩენების მართვის სერვისის დაფარვის არეალი ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას სრულად ვერ მოიცავს.

სერვისის მიწოდება ხდება 22 ადმინისტრაციული ერთეულიდან 18 ადმინისტრაციულ ერთეულში, ნარჩენების მართვის არსებული მომსახურება მოიცავს მუნიციპალიტეტის ნარჩენების გატანას არსებული მარშრუტებით:

ხობი - ბია - საჯიჯაო - ხიბულა - ხობი - პირველი მაისი - ხეთა - ხამისკური - ნაგავსაყრელი:

კვირაში 1 ჯერ

ხობი - პირველი გურიფული - პირველი ხორგა - შუა ხორგა - ქარიატა - ჭალადიდი - პატარა ფოთი

- ხობი - ნაგავსაყრელი: კვირაში 1 ჯერ

ხობი - ნოჯიხევი - შუა ქვალონი - ქვემო ქვალონი - ახალსოფელი - ხობი - ნაგავსაყრელი: კვირაში 1 ჯერ

ხობის მოსახლეობა - ნაგავსაყრელი: კვირაში ორჯერ

ხობის ადმინისტრაციული ერთეული - პირველი მაისი - ხეთა - ხამისკური - ნაგავსაყრელი: ყოველდღე

პარკებისა და სანიაღვრე არხების წმენდა: კვირაში 3 დღე

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხობის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და სერვისის დაფარვის არეალის გაფართოება განხორციელდა 2015-2016 წლებში.

- **ხობის მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში შეიძინა და ფონდების მეშვეობით მიიღო თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ნაგავშიდი ტექნიკა (იხ. დანართი №1).**

1. Mercedes 7 მ³ - 1 ერთეული

2. Mercedes 13 მ³ - 1 ერთეული

- **შეძენილია და ფონდების მეშვეობით მიღებულია თანამედროვე სტანდარტების 100 ერთეული 1,1 მ³ მოცულობის ნაგავშემკრები კონტეინერები, რომელთა განთავსება განხორციელდა დანართში აღნიშნული რუკის შესაბამისად (იხ. დანართი №2).**

ხობის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის მეშვეობით 2017 წელს შეგროვებული და განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა გაცილებით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. თუმცა, ჯერ კიდევ მრავლად არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილები ე.წ. „სტიქიური ნაგავსაყრელები“, რომელთა აღრიცხვა და ლიკვიდირება ნარჩენების მართვის გეგმის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ერთიანი სივრცის არ არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება ტექნიკის განთავსება და მოვლა-შენახვისათვის პირობების შექმნა. ამ სივრცის მოწყობისათვის საჭირო ტერიტორია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეულია, მიმდინარეობს მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. თუმცა, მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების სიმწირის გამო, საკუთარი შემოსავლებიდან ამ პროექტის დაფინანსება ჯერ არა არის გადაწყვეტილი. მიმდინარეობს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების სამუშაო.

რაც შეეხება სხვა სახის ნარჩენებს, როგორცაა სამედიცინო ნარჩენები, ცხოველური ნარჩენები, ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, სამშენებლო ნარჩენები და სხვა, აქ ვითარება პრაქტიკულად ვერ კონტროლდება და დიდი ალბათობით ამ სახის ნარჩენების შერევა ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებში, რაც საკმაოდ დიდი რისკის მატარებელია.

1.5. სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა:

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სწორი დაგეგმვისათვის მიზანშეწონილია მოქმედი სისტემიდან განსხვავებული - ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, რათა საბოლოო ჯამში განხორციელებული საქმიანობის შედეგად უზრუნველყოფილი იყოს გარემოსა და ადამიანის ჯამრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების დამკვიდრებული მიდგომა არის საერთო სარგებლობის კონტეინერების მეშვეობით ნარჩენების შეგროვება - **კოლექტიური შეგროვება**, თუმცა შესაძლებელია განხილული იქნეს სხვა მიდგომებიც:

შეგროვება ტროტუარებიდან/გზისპირებიდან - ამ შემთხვევაში ნარჩენების წარმომქმნელები ინდივიდუალურ კონტეინერებს ათავსებენ გზის მიმდებარედ, ხოლო შემგროვებელი ბრიგადის მიერ ნარჩენების ნაგავშიდში გადატვირთვის შემდეგ ისევ უკან მიაქვთ საკუთარი კონტეინერები; **უბან-უბან შეგროვება** - ამ შემთხვევაში ნაგავშიდი გადაადგილდება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით და ინტერვალთა, ჩერდება შერჩეულ ადგილებში და იძლევა სპეციალურ ნიშანს, რათა ნარჩენების წარმომქმნელებს აცნობოს შეგროვების ადგილზე მისვლა. ნარჩენების წარმომქმნელებს საკუთარი ნარჩენები მიაქვთ ნაგავშიდთან, ან საკუთარი ძალებით ან შემგროვებელი ბრიგადის მეშვეობით ათავსებენ ნარჩენებს ნაგავშიდზე. ამ დროს კონტეინერების გამოყენება არ ხდება;

კარდაკარ შეგროვება - ამ პროცესში ნარჩენების წარმომქმნელები არ მონაწილეობენ. მათი ვალდებულება არის ნარჩენები გაიტანონ საცხოვრებლის კართან (ეზოში) და შეგროვებას ახორციელებს შემგროვებელი ბრიგადა. სამომავლოდ ზემოთ აღნიშნული მიდგომების ან ამ

მიდგომების კომბინაცია შესაძლებელია გამოვიყენოთ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ხობის მუნიციპალიტეტში, არსებული ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის შესაბამისად პრიორიტეტულად მიჩნეულია კოლექტიური შეგროვების პრინციპი. ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება უკანა ჩატვირთვის მქონე საპრესი მოწყობილობით აღჭურვილი ნაგავმზიდების საშუალებით ამიტომ ჩვენს პირობებში ყველაზე გამართლებულია **კოლექტიური შეგროვება**.

დღეისთვის არსებული სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემული სუბსიდია.

პრინციპის „დამზინძურებელი იხდის“ უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ნარჩენების წარმომქმნელებმა გადახდილი მოსაკრებლის მეშვეობით უზრუნველყონ გაწეული ხარჯების ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება, რისთვისაც მიზანშეწონილია განხილულ იქნეს **გბრდს** მიერ რეკომენდირებული მოსახლეობისთვის და კერძო სექტორისთვის დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებულია პროგრამის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) ფარგლებში და ამის შემდეგ შემუშავდეს ხარჯების ამოღების სისტემის მოდელი.

ხარჯების ამოღების სისტემის მოდელის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა, რადგან არ არსებობს განსაზღვრული მეთოდოლოგია, რომელიც მისაღები იქნება ყველა

მუნიციპალიტეტისთვის.

ნარჩენების შეგროვების სისტემის დაფინანსების წყარო, გარდა დასუფთავების მოსაკრებლისა, შეიძლება გახდეს კანონდამრღვევების მიერ გარემოს დანაგვიანებისათვის გადახდილი ჯარიმები და საურავები. ასევე, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხები და გრანტები. აუცილებელია დღეს არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება, რისი მიღწევაც შესაძლებელია, როგორც სტრუქტურული გაძლიერებით, ისე უფლებამოსილებების გაზრდით ნარჩენების მართვის სფეროში.

1.6. შედეგების და რეკომენდაციების მიმოხილვა:

ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. აუცილებელია სისტემაში არსებული პრობლემური საკითხებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება, რათა სამომავლოდ დაიგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება. ძირითადი ასპექტები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

- აუცილებელია არსებული სისტემის დაფარვის არეალის გაფართოების დაგეგმვა, 2018 წლისთვის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის მოცვა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რათა მიღწეული იქნეს *ნმესგ*-ით განსაზღვრული მიზნები;
- შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების შესახებ მონაცემთა აღრიცხვის მუდმივი განხორციელება. ამით უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის დანერგვის დაგეგმვისათვის საინფორმაციო საფუძველი;
- შესაგროვებელი ნარჩენების მოცულობების წინასწარი განსაზღვრა. ეს პარამეტრი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ნაგავმზიდები კონტეინერებისა და ტრანსპორტირების პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის განსაზღვრის დროს;
- აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს ნაგავმზიდების მოძრაობის ოპტიმალური განრიგები და მარშრუტები, რათა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესი წარიმართოს მინიმალური დანახარჯებით;
- დასაბუთებული და სათანადო მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებული დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის განსაზღვრა, ხარჯების ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა, მოსაკრებლით მიღებული შემოსავლების გაზრდის მიზნით;
- მონიტორინგის განხორციელება მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენების არამიზნობრივად განთავსებაზე და საჯარიმო მექანიზმების ამოქმედება;

- აუცილებელი ტექნიკით აღჭურვა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზუნველყოფა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება.

1.7. გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციები

„გეგმა“ მოიცავს იმ ძირითად საქმიანობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, „გეგმის“ შესრულებაზე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციებს წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ხობი დასუფთავება და განათება“.

მეორე ნაწილი - შესავალი და არსებული მდგომარეობა

ხობის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების განმავლობაში, მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობამ, შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობამ და წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემების გადაუჭრელობამ, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა მუნიციპალიტეტი. 2015 წლიდან საქართველოში შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მნიშვნელოვანი ბიძგი აღმოჩნდა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ნარჩენების მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით.

2.1. გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილებები, რომლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებებია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება და მუნიციპალური ნარჩენების მართვა“. ასევე, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება“. 2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა და 2015 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“. „კოდექსის“ მიზნად და ამოცანად განისაზღვრა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა:

- ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით;
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით;
- რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

1. მუნიციპალიტეტის კომპეტენციას, „კოდექსის“ მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების (საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია) მართვა (მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება), „ნარჩენების მართვის პრინციპები“-ს შესაბამისად:

- „**უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი**“ - მიღებული უნდა იქნეს ზომები გარემოსათვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები;
- **პრინციპი „დამზინდურებელი იხდის“** - ნარჩენების წარმომქმნელი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;

- „სიახლოვის პრინციპი“ - ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;
- „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“ - უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადეკვატური ქსელი. „კოდექსის“ მე-6 მუხლით განსაზღვრულია ნარჩენების მართვის სფეროში კომპეტენტური ორგანოები:

1. ნარჩენების მართვის სფეროში **გბრდს**-ის კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- ბ) ნარჩენების აღრიცხვა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის წარმოება;
- გ) ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავება;
- დ) ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია და გეგმის განხორციელების ანგარიშის წარდგენა;
- ე) ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვის გაცემა და რეგისტრაციის წარმოება;
- ვ) ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, წინასწარი დამუშავების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების ხელშეწყობა;
- ზ) ნარჩენების მართვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

2. **გბრდს** საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას;

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო **გბრდს**-თან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არეგულირებს და აკონტროლებს სამედიცინო ნარჩენების მართვას;

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო **გბრდს**-თან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არეგულირებს და ზედამხედველობს ცხოველური ნარჩენების მართვას;

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულება გასცემს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობას;

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულება **გბრდს**-თან ერთად შეიმუშავებენ და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენენ კანონქვემდებარე აქტების პროექტებს, რომლებითაც განისაზღვრება ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, კერძოდ, მოთხოვნები:

- ა) ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების სტანდარტებისადმი;
- ბ) ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოსაყენებელი კონტეინერისადმი;
- გ) სახიფათო ნარჩენების გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის გამოცდილებისადმი.

7. ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ასევე, ეს უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს მესამე პირს.

8. „კოდექსისა“ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების მართვა (მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება), „კოდექსის“ მე-16 მუხლის შესაბამისად. „კოდექსის“ მე-13 მუხლით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ვალდებულება, 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შეიმუშაოს და

დამატკიცოს, მის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს შემდეგ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

- „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილება;
- „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილება.
- „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება;
- „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილება;

„მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“, ასევე, ეფუძნება შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.

ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტების ერთობლიობა ქმნის გეგმის შემუშავების სამართლებრივ საფუძვლებს და მარეგულირებელ ნორმებს.

2.2. მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ა. ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ

- ხობის მუნიციპალიტეტი, გეოგრაფიული მდებარეობა.

ხობის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის ცენტრში. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - სენაკის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით - ქ. ფოთის ტერიტორია და შავი ზღვა.

მუნიციპალიტეტი დაყოფილია 22 ადმინისტრაციულ ერთეულად, რომლებიც მოიცავს 1 ქალაქს და 57 სოფელს. განსახლების ზონა ვრცელდება ზღვის დონიდან 200 მეტრამდე, მოსახლეობა ძირითადად ვაკე-დაბლობზე ცხოვრობს, მცირე ნაწილი - გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში.

მუნიციპალიტეტის ცენტრი ქ. ხობი (ზღვის დონიდან 25 მ.) დედაქალაქიდან დაშორებულია 285 კმ-ით (რკინიგზით), 15 კმ-ის მანძილზე მდებარეობს სენაკის სამხედრო დანიშნულების აეროპორტი, 65 კმ-ის მანძილზე - ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ხოლო 35 კილომეტრის მანძილზე - ფოთის საზღვაო პორტი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ჰკვეთს ევრაზიის რკინიგზის მაგისტრალი და საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების სიგრძე შეადგენს 310 კმ-ს, მათ შორის: საერთაშორისო მნიშვნელობის - 37 კმ, სახელმწიფო მნიშვნელობის - 112 კმ, ადგილობრივი მნიშვნელობის - 182,6 კმ, შიდა გზები - 458 კილომეტრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ხობი.

ბ. ბუნებრივ-კლიმატური პირობების დახასიათება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰავა ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით.

ტენიანობას განაპირობებს შავი ზღვის საიხლოვე და აღმოსავლეთიდან გარშემორტყმული მაღალი ქედები. ტენიანობა განსაკუთრებით მაღალია ზაფხულში. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა

შეადგენს 2100–2800 მმ.-ს. ნალექების მაქსიმუმი სექტემბერში მოდის, მინიმუმი მაისში. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5°C-დან -4°C-მდე, ყველაზე ცივი თვეა იანვარი (+5°C-დან -5°C-მდე), ხოლო ყველაზე თბილი აგვისტო (+23°C-დან +13°C-მდე). აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურაა -17°C-18°C, აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 40-45°C შორის მერყეობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიისთვის დამახასიათებელია სეზონური ქარები: ზამთარში ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის, ხოლო ზაფხულში დასავლეთის ქარები. ქარის საშუალო სიჩქარე შეადგენს 3,2 მ/წმ. ზამთარსა და გაზაფხულზე იცის ფიონები, თუმცა მათ ნაკლები ზიანი მოაქვთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოქცეულია 5-6 ბალიანი მიწისძვრების საშიშროების ზონაში.

გ. მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ნუსხა და მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრამდე
თვითმმართველ თემში - ხობის მუნიციპალიტეტში შედის 22 ადმინისტრაციული ერთეული, რომლებიც მოიცავს 1 ქალაქს და 57 სოფელს. მუნიციპალიტეტის დასახლებების დაშორება მუნიციპალიტეტის ცენტრიდან წარმოდგენილია დანართი №3-ის შესაბამისად.

დ. დემოგრაფიული მონაცემები


სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, ისევე როგორც ქვეყნაში და რეგიონში, ხასითდება კლებადი დინამიკით.

დ.ა. მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა

ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით შეადგენს 40623 ადამიანს, (იხ. დანართი №4) მათ შორის ურბანული ტერიტორია - 6667 ადამიანი, ხოლო არაურბანული ტერიტორია - 33956 ადამიანი. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით მოსახლეობის კლებამ საერთო ჯამში 11.7 პროცენტი შედგინა. ქვემოთ წარმოდგენილია სტატისტიკური ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობაში რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა და მომავალი პერიოდისათვის ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

მოსახლეობის რაოდენობა საყოველთაო აღწერის მიხედვით

№	ტერიტორია	1989 წელი	2002 წელი	2014 წელი
1	ურბანული	7047	6837	6667
2	არაურბანული	41147	39149	33956
	ჯამი	48 194	45986	40623



2.3. გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს *ნმეს*-ით დეკლარირებული კურსი - „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“, განისაზღვრა **ცხრა** ძირითადი მისაღწევი მიზანი და მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი შესაბამისი ამოცანები. აღნიშნულიდან გამომდინარე, *ნმეს*-ით და *ნმესგ*-ით მუნიციპალიტეტებისათვის განისაზღვრა ვალდებულებები შესაბამისი ვადების მითითებით:

მიზანი №1 - ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შემუშავება, განხორციელება და აღსრულება.

ამოცანა 1.1. ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება 2022 წლისათვის.

მიზანი №2 - ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე.

ამოცანა 2.1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმის შემუშავება და დამტკიცება 2017 წლისათვის.

მიზანი №3 - ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ამოცანა 3.1. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპერატორების მიერ

კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება 2020 წლისათვის;

ამოცანა 3.2. ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა:

მიზანი №4 - ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა.

ამოცანა 4.1. სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2018 წლისათვის.

ამოცანა 4.2. ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირება 2022 წლისათვის.

მიზანი №5 - ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა.

ამოცანა 5.1. ქაღალდის, მინის, მეტალის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2020 წლისათვის;

მიზანი №6 - ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღება „დამზინბურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.

ამოცანა 6.1. მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2018 წლისათვის;

ამოცანა 6.2. კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და განხორციელება 2018 წლისათვის .

მიზანი №7 - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ხელშეწყობა და დანერგვა.

ამოცანა 7.1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა და შესაძლებლობათა ფარგლებში, მგვ-ის განხორციელების ხელშეწყობა.

მიზანი №8 - ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ამოცანა 8.1. მუნიციპალური ნარჩენების შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და კანონმდებლობის შესაბამისად სისტემის ადმინისტრატორისათვის მიწოდება.

მიზანი №9 - საჯარო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე; ასევე, კერძო კომპანიების შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ამოცანა 9.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხზე 2018 წლიდან.

2.4. დაგეგმვის პროცესის აღწერა:

„გეგმისთვის“ შერჩეული იქნა საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“-ს მიერ შემუშავებული „ნარჩენების მართვის გეგმის შედგენის სახელმძღვანელო“, ამ დოკუმენტით რეკომენდირებულია გეგმის ჩარჩო, რომლის სტრუქტურას წარმოადგენს:

1. მიზნების შესაბამისი ამოცანების იდენტიფიცირება;
2. პრობლემების აღწერა;
3. ამოცანების შესასრულებლად ღონისძიებების განსაზღვრა;
4. მისაღწევი შედეგების განსაზღვრა;
5. შედეგების მიღწევის ინდიკატორების განსაზღვრა;
6. ღონისძიებების განხორციელების ვადის განსაზღვრა;
7. ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის განსაზღვრა;
8. პარტნიორი ორგანიზაციის იდენტიფიცირება;
9. ღონისძიების საპროგნოზო ბიუჯეტის განსაზღვრა;
10. დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება.

„გეგმაში“ ამოცანების შესაბამისად გათვალისწინებულია ღონისძიებები. კონკრეტული ღონისძიებების გასწვრივ წარმოდგენილია პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია ღონისძიების განხორციელებაზე. თუ რომელიმე ღონისძიების შესრულება ვერ მოხდა, გეგმის შესრულების ანგარიშების დროს წარმოდგენილი უნდა იქნეს ამის გამომწვევი არგუმენტირებული მიზეზი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია და მონაწილეობის პროცესი

ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია მთავარი დაინტერესებული მხარის - საზოგადოების ჩართულობისა და მონაწილეობის პროცესი, საზოგადოებას შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს სისტემის მდგრად განვითარებაზე. საზოგადოების ჩართულობა იძლევა შესაძლებლობას, რომ განისაზღვროს პრიორიტეტები და სისტემის ფუნქციონირების პროცესში იყოს მონაწილე მხარე.

მესამე ნაწილი - მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1. შესავალი

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხობის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 2015 წელს, ხოლო სერვისის დაფარვის არეალის გაფართოება განხორციელდა 2015-2016 წლებში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიისთვის წინა წლებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების მოცულობის დადგენა ხორციელდება ნაგავსაყრელ პოლიგონზე შესვლის დროს, დამონტაჟებულ საავტომობილო სასწორზე აწონვების განხორციელების მეშვეობით. თუმცა, ამის გარდა აუცილებელია ნარჩენების შემადგენლობის, ძირითადი წარმოშობის ადგილების და დროის დასადგენად განხორციელდეს მუდმივი დაკვირვება.

3.2. გეგმაში მიმოხილული ნარჩენების რაოდენობა და სახეობები

იმის გათვალისწინებით, რომ „კოდექსის“ მიღებამდე საქართველოში არ არსებობდა შეგროვებული, ტრანსპორტირებული და განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების შესახებ აღრიცხვა-ანგარიშგების ვალდებულება, ინფორმაცია წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების სახეობების შესახებ გეგმაში ხელმისაწვდომი არ არის. რაც შეეხება შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას, შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების მოცულობის დადგენა ხორციელდება ნაგავსაყრელ პოლიგონზე შესვლის დროს, დამონტაჟებული სასწორზე აწონვების განხორციელების მეშვეობით. 2015 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა 2500 მ³ ნარჩენი, ხოლო 2016 წელს 2700 მ³. 2017 წლის მონაცემების დინამიკა მზარდია გასულ წლებთან დაკავშირებით რადგანაც 2017 წლიდან მუნიციპალიტეტს 2 ახალი ნაგავმზიდი ემსახურება (იხ. დანართი №5) როგორც წესი, ნარჩენების წარმოქმნას ახასიათებს სეზონური ცვლილებები და ეს წარმოდგენილია კიდევ გრაფიკის მეშვეობით: როგორც ირკვევა, ხობის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა ყველაზე მაღალ ნიშნულს სექტემბერი-ოქტომბერი-ნოემბერში აღწევს, რაც ძირითადად განპირობებულია ნარჩენების წარმოქმნის სეზონურობით.

3.3. ნარჩენების პროგნოზირება

ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს მომსახურების დაფარვის არეალის ზრდა პროგნოზირებულია 50%-ით. ჯამში მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობამ შეადგინა 4700 კუბური მეტრი. 2018-2022 წლებში მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა პროგნოზირებულია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:


1. **ნმესგ**-ით და „სამოქმედო გეგმით“ დასახული ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა 2022 წლისათვის;
2. ნარჩენების შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალის გაფართოება (მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მომსახურება) 2018 წლისათვის;
3. სეპარირებული ნარჩენების შეგროვების საპილოტე პროექტების დაფინანსება 2019 წლიდან;
4. ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში ნარჩენების წარმოქმნის საშუალო მაჩვენებლის განსაზღვრა და ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის საპროგნოზო მონაცემების შემუშავება;

3.4. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ ხობის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესწავლა და ანალიზი მიმდინარე პერიოდამდე არ განხორციელებულა და ამის არც სამართლებრივი ვალდებულება არსებობდა 2015 წლამდე, დაიგეგმა ნარჩენების შემადგენლობის ანალიზის ჩატარება. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ მიერ შეგროვებული და განთავსებისათვის, დროის სხვადასხვა პერიოდში, პოლიგონზე მიწოდებული ნარჩენების შემადგენლობის შესწავლის მეშვეობით (დაახლოებით 30 ტონა შეგროვებული ნარჩენი) გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

დასახელება	მთლიანი მოცულობა (ტონა)	წილობრივი შემადგენლობა %	წილობრივი შემადგენლობა ტონა
ორგანული მასები	30	50%	15
ქაღალდი	30	5%	1,5
მუყაო	30	15%	4,5
პლასტიკი	30	15%	4,5
მინა	30	15%	4,5

ლითონი	30	0%	0
--------	----	----	---



მეოთხე ნაწილი - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

4.1. შესავალი:

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების მართვა (შეგროვება, ტრანსპორტირება, დაგვა-დასუფთავება და ა.შ.) მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურებას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ხობი დასუფთავება და განათება“.

4.2. არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ნარჩენების შეგროვება ხორციელდება საერთო სარგებლობის კონტეინერების მეშვეობით. დღეისათვის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებულია 100 ერთეული 1,1 მ³ მოცულობის კონტეინერი, რაც არ არის საკმარისი რაოდენობა ტერიტორიის სრული ათვისებისათვის.

ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 0.24 მ³ მოცულობის 20 ერთეული და 0.06 მ³ მოცულობის 20 ერთეული კონტეინერი. ნარჩენების შეგროვება ხორციელდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავზბიდი ტექნიკის მეშვეობით. 2018 წელს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის მომსახურების მოცვის მიზნით იგეგმება დამატებით 150 ერთეული 1.1 მ³ მოცულობის კონტეინერების განთავსება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადმოეცემა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისგან“. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, 2018 წელს იგეგმება 50 ერთეული 0.06 მ³ მოცულობის კონტეინერების შეძენა (იხ. დანართი №6)

ადმინისტრაციულ ერთეულებში ნარჩენების შეგროვება ხორციელდება კვირაში ერთხელ, ხოლო ქალაქ ხობის ცენტრში ზაფხულის პერიოდში (ივლისი-აგვისტო-სექტემბერი) ყოველ დღე. ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი №1).

2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების, სეპარირებული ნარჩენების მართვის სისტემის საპილოტე პროგრამის დასაფინანსებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება თანხის გამოყოფა დანართის შესაბამისად. (იხ. დანართი №7)

4.3. შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება

ა. ინსტიტუციური ჩარჩო:

ხობის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების განსაზღვრული წესი არ არსებობს. მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 აპრილს მიღებული იქნა №159 დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან, და ასევე, „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილება. ზემოთ აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არეგულირებს მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს.

ბ. შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები:

ხობის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება კოლექტიური შეგროვების მიდგომა. კონტეინერები განთავსებულია ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. კონტეინერების უმრავლესობა სტანდარტული სახისაა და თავსებადია ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ტექნიკასთან. რაც შეეხება შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულ ტექნიკას - ნაგავმზიდებს გააჩნია საპრესი მოწყობილობა და უკანა ჩატვირთვის სისტემა, ისინი ტვირთტევადობის მიხედვით 07-13 მ³ მოცულობისაა. სათადარიგო ნაწილების შეძენა ხდება ტენდერის საშუალებით, რომლის შესყიდვისა და მოწოდების ვადა საშუალოდ შეადგენს 30 კანონდარულ დღეს. მარაგების შეძენა-შენახვა ხორციელდება გასული წლის ხარჯების ანალიზის საფუძველზე.

გ. შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი

დღეისათვის შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ მიერ სერვისის მიწოდება ხდება ურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 40%-სათვის და არაურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები (სოფლებში) მოსახლეობის 20%-სათვის. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისათვის ნარჩენების შეგროვების სერვისი ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი და არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მოსახლეობამ ნარჩენების განთავსება მოახდინოს თვითნებურად შერჩეულ ადგილებში.

4.4. ქუჩების დასუფთავება

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ მიერ პერიოდულად სუფთავდება საერთაშორისო და შიდასახლმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდებარე ტერიტორიები, ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრები, ასევე, ხორციელდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების (სკვერები, პარკები და სხვა) დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა. სისტემის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესთან ერთად უნდა განხორციელდეს მომსახურების დაფარვის არეალის ზრდა და ახალი ტერიტორიების ათვისება. ასევე ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პარკის და 2 ხეივანის მოვლა-პატრონობა

№	ქუჩების ჩამონათვალი
1	ჭყონდიდელის ქუჩა ხიდიდან რკინიგზის სადგურამდე
2	ცოტნე დადიანის ქუჩაზე ხიდიდან №1 საბავშვო ბაღის შენობამდე ტროტუარები
3	რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედანი
4	კინოთეატრ თუთარჩელას წინ მდებარე მოედანი
5	ბერიას ქუჩა ცოტნე დადიანის ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩის გადაკვეთამდე
6	სტალინის ქუჩა ბერიას ქუჩიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე
7	9 აპრილის ქუჩა ცოტნე დადიანის ქუჩიდან დ. აღმაშენებლის ქუჩის გადაკვეთამდე
8	კოსტავას ქუჩა ცოტნე დადიანის ქუჩიდან სტალინის ქუჩის გადაკვეთამდე
9	კულტურის სახლის წინ მდებარე მოედანი
10	ყოფილი სოფლის მეურნეობის სამმართველოს მიმდებარე ტერიტორია
11	სახანძრო სამსახურის მიმდებარე ტერიტორია
12	ცოტნე დადიანის ქუჩა №1 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით
13	მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმდებარე ტერიტორია
14	სტალინის ქუჩა კოსტავას ქუჩის გადაკვეთიდან რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე
15	„ჩეხური ბინები“-ს ქუჩა ცოტნე დადიანის ქუჩიდან სტალინის ქუჩის გადაკვეთამდე
16	სანაპიროს ქუჩა

4.5. ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

კოდექსის მე-6 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, „ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა. ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობა და მართვა, „კოდექსისა“ და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ეს უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს მესამე პირს“.

საქართველოში, მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტში, არასახიფათო ნაგავსაყრელების მართვას და გადამტვირთი სადგურების მოწყობა-ოპერირებას ახორციელებს **რგის**-ის დაქვემდებარებაში არსებული შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ა. ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, 2011 წელს განხორციელდა არასახიფათო ნარჩენების განთავსების პოლიგონების მოწყობა. 2014 წელს აღნიშნული ნაგავსაყრელი დაიხურა და დაკონსერვდა. მოხდა არსებული არასახიფათო ნარჩენების საიზოლაციო გრუნტით გადაფარვა. დღეის მდგომარეობით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ ნაგავსაყრელზე.

ბ. ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში არსებობს ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ე.წ. „სტიქიური ნაგავსაყრელები“, რომლებიც ჩამოყალიბებულია დროთა განმავლობაში მოსახლეობის მიერ. ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ე.წ.

„სტიქიური ნაგავსაყრელები“ პრაქტიკულად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულშია მოწყობილი, სადაც ხდება როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სამშენებლო და სხვა სახის ნარჩენების განთავსება. 2018 წელს გეგმით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და დასუფთავება.

„სტიქიური ნაგავსაყრელები“-ს პირველადი ინვენტარიზაცია



4.6. აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება):

დღეის მდგომარეობით ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების აღდგენის ოფიციალური პროგრამების (რეციკლირება და კომპოსტირების) განხორციელება არ ხორციელდება. 2018 წლიდან ხობის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ორგანული ნარჩენების კომპოსტირების მიზნით ტერიტორიის გამოყოფას, რათა უფრო ეფექტურად განხორციელდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

4.7. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ დაფუძნდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის №88 განკარგულებით. ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, საქმიანობის მიზანი და ძირითადი მიმართულებებია:

- ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა;
- ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება;
- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება;
- ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების უზრუნველყოფა;
- ქ. ხობის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების და საქმიანი ეზოების მოვლა-პატრონობა;

- ბუნების დაცვითი საქმიანობა;
- ყველა სახის, მათ შორის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულება;
- საზოგადოების უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა.

შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი. შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ წესდებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, შპს-ში შერჩეულია შემდეგი მიმართულებები:

1. ადმინისტრაცია - 3 სამტატო ერთეული;
2. საფინანსო მიმართულება - 1 სამტატო ერთეული;
3. დასუფთავების მიმართულება- 23 სამტატო ერთეული;
4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულება- 2 სამტატო ერთეული;
5. გარე განათების მიმართულება- 4 სამტატო ერთეული;
6. გამწვანების მიმართულება- 8 სამტატო ერთეული;
7. სასაფლაოების მომსახურების მიმართულება- 2 სამტატო ერთეული;
8. უმეტესწილად დარჩენილი შინაური ცხოველების იზოლაციის მიმართულება- 3 სამტატო ერთეული;
9. საკანალიზაციო სისტემის მომსახურების მიმართულება - 3 სამტატო ერთეული;
10. სახელმწიფო შესყიდვების მიმართულება - 1 სამტატო ერთეული;

შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ მთლიანი სამტატო რიცხოვნობა შეადგენს 50 ერთეულს. წესდების შესაბამისად, შპს-ს საქმიანობის მიზანი და ძირითადი მიმართულებები, ნარჩენების მართვისა და დასუფთავების ნაწილში, არის:

- ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;
- ნარჩენების გატანა;
- სანიღვრე არხების გაწმენდა-შეკეთება.

ამ საქმიანობების განსახორციელებლად, შპს „ხობი დასუფთავება და განათებაში“, დასუფთავების მომსახურების მიმართულებით დასაქმებული პირები პასუხისმგებელნი არიან ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებაზე და ნარჩენების გატანაზე, მათ შორის:

1. წამყვანი სპეციალისტი - 1;
2. მუშა - 3;
3. ნაგავმზიდი ტენიკის მძღოლი - 3;
4. ნაგავმზიდის ოპერატორი - 4;
5. მოსაკრებლის ადმინისტრატორი - 2;
6. მეეზოვე - 12

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულება პასუხისმგებელია ცენტრის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვაზე და პერიოდულ შეკეთებაზე. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულება განსაზღვრება 2 სამტატო ერთეულით, მათ შორის:

1. წამყვანი სპეციალისტი - 1;
2. სპეციალისტი - 1

დასუფთავების მიმართულების უშუალო მოვალეობაა ტერიტორიის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მოსაკრებლის ადმინისტრირება (ამოღების უზრუნველყოფა) და მონიტორინგი განხორციელებულ სამუშაოებზე.

შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაკისრებული ფუნქციების გასახორციელებლად გადაცემული აქვს შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახის შემოსავლები.

ყოველწლიურად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ ხორციელდება შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ საქმიანობის ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგის ჩატარება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციას ეძლევა შესაბამისი რეკომენდაციები. შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ ყოველწლიურად წარადგენს გასული წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წინაშე. შპს-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

4.8. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

ა. არსებული პროგრამის ხარჯები

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში. 2016 წლის მონაცემების შესაბამისად, შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ პირდაპირმა ხარჯმა, ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურების გაწევისათვის შეადგინა 306892 ლარი. 2018 წელს შპს „ხობის დასუფთავება და განათების“ პირდაპირი ხარჯი იზრდება 35%-ით. დღეისათვის შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ მიერ სერვისის მიწოდება ხდება ურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 40%-სათვის (ქ. ხობის 30 ქუჩა) და არაურბანულ ტერიტორიაზე (სოფლებში) მცხოვრები მოსახლეობის 20%-სათვის (18 ადმინისტრაციული ერთეული). შპს ჯამში ემსახურება 792 აბონენტს.

ბ. არსებული ტარიფები და ხარჯების ფაქტობრივი ანაზღაურება/მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებული გამოცდილება

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-2, მე-4, მე-5, მე-5¹, მე-6 პუნქტების შესაბამისად:

- მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს;
- მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის - 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით;
- ნარჩენების წამომქმნელმა შეიძლება მოახდინოს მოსაკრებლის დიფერენცირება დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე თავისი შემოსავლის, ქონების, მის მიერ დასაქმებული პერსონალის რაოდენობის ან/და საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც;
- ფიზიკური პირებისათვის მოსაკრებლის ოდენობა დიფერენცირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვრის მაჩვენებლების შესაბამისად;
- მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.

ხობის მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებას და გადახდას არეგულირებს „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 თებერვლის №141 დადგენილება. დადგენილების შესაბამისად, მოსახლეობისათვის მოსაკრებლის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 0,5 ლარს, ხოლო იურიდიული

პირებისათვის, ორგანიზაციებისთვის, დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულის შესაბამისად: $m = g \times r$; სადაც:

მ - ერთი თვის მოსაკრებელი იურიდიული პირებისთვის (ლარი)

გ - მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი)

რ - ზომის ერთეულის ფაქტიური რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.)

მომხმარებელთა მიერ ტერიტორიის დასუფთავებისათვის გადახდილი მოსაკრებლის ოდენობამ 2015 წელს შეადგინა - 41090 ლარი, რაც დასუფთავებისათვის გაწეული ხარჯების 13,4 %-ია, ხოლო 2016 წელს - 21229 ლარი, რაც დასუფთავებისათვის გაწეული ხარჯების 7 %-ია. მოსაკრებლის ძირითადი გადამხდელები არიან ინდივიდუალური მეწარმეები და ორგანიზაციები. გამომდინარე იქიდან, რომ სერვისის მიწოდება ადმინისტრაციული ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობისათვის დაიწყო 2015 წლიდან და სერვისი ჯერ-ჯერობით არ მიეწოდება მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობას სრულად, მოსაკრებლის ადმინისტრირება (ამოღება) ვერ ხდება სრულყოფილად. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაგეგმილი აქვს, საქართველოში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების მეშვეობით, მოახდინოს მოსაკრებლის ადმინისტრირება, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი დაფინანსების მინიმიზაცია ბიუჯეტის მეშვეობით და სერვისი თვითკმარი გახდეს. აუცილებელია 2018 წლიდან ელექტრონული გადახდის აპარატების მეშვეობით შესაძლებელი გახდეს შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დავალიანების გადახდა და ორგანიზაციის გადამხდელთა სიაში დაფიქსირება.

4.9. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

ა. საოპერაციო/საექსპლოატაციო ხარჯები

შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ საკუთრებაში არსებული ახალი ტექნიკის მომსახურება ხორციელდება მომწოდებლის მიერ, საგარანტიო პირობების შესაბამისად, ხოლო სხვა ტექნიკის მომსახურება და სათადარიგო ნაწილების შეძენა ხდება შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ მიერ ტენდერის საშუალებით, რომლის შესყიდვისა და მოწოდების ვადა საშუალოდ შეადგენს 30 - 40 კანლენდარულ დღეს. მარაგების შეძენა-შენახვა ხორციელდება გასული წლის ხარჯების ანალიზის საფუძველზე.

ბ. კაპიტალური დანახარჯები

კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების დროს მუნიციპალიტეტის მიერ ხდება ალტერნატიული წყაროების მოძიება. მაგალითად, 2014 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხობის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 2 ერთეული ნაგავშენი ტექნიკისა და 100 ერთეული 1,1 მ³ ნაგავშენი კონტეინერების შესაძენად, რამაც საბოლოოდ 4416565 ლარი შეადგინა. 2018 წელს ნარჩენების მართვის კომპანიიდან იგეგმება 150 ერთეული 1,1 მ³ ნაგავშენი კონტეინერების გადმოცემა. 2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება 0.24 მ³ და 0.06 მ³ ტევადობის კონტეინერების შეძენა. ტექნიკის განთავსებისა და მოვლა-შენახვისათვის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეულია ტერიტორია, მიმდინარეობს მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. 2019-2022 წლებში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სეპარირებული ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება სეპარირებული ნარჩენების შეგროვების საპილოტე პროგრამის დაფინანსება;


მეხუთე ნაწილი - ნარჩენების ინდუსტრიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები

5.1. შეგროვება და ტრანსპორტირება:

ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ხარჯების ყველაზე ძვირადღირებული ელემენტია. განვითარებად ქვეყნებში ასეთი ხარჯები სისტემის მთლიანი ხარჯების თითქმის 90%-ს შეადგენს, ხოლო იმ ქვეყნებში სადაც ფუნქციონირებს თანამედროვე ინსინერატორები და სანიტარული ნაგავსაყრელები 50%-ზე მეტია. ევროპის ქვეყნებში ნარჩენების შეგროვების სისტემებს შორის ყველაზე აქტუალურია შეგროვების კონტეინული სისტემა, საქართველოშიც ამ სისტემას ფართო გავრცელება აქვს. კონტეინური სისტემის გამოყენება ასევე ეფექტურია ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის გამოყენების დროსაც, რადგან ეს სისტემა საშუალებას იძლევა აღდგენადი (რეციკლირებადი) მასალების დახარისხებულად შეგროვების შესაძლებლობას. ასევე, ფართოდ გამოიყენება ინდივიდუალური კონტეინერების სისტემა - მოსახლეობა იყენებს ინდივიდუალურ კონტეინერებს მათი ნარჩენების შეგროვებისათვის და სერვისის განმახორციელებელი კომპანია ახდენს ამ კონტეინერებიდან ნარჩენების შეგროვებას.

5.2. აღდგენის პროცესები

ვინაიდან საქართველოში ნარჩენების აღდგენის პროცესების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება ძალიან მწირია, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს მომავალი ვარიანტები. ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებულია ნარჩენების განთავსების შემცირება და უპირველესად ორიენტირებულია რესურსების ხელმეორედ გამოყენებაზე. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს შემდეგ ძირითად ფაქტორებს:



5.3. საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოების ჩართულობა სისტემის მუშაობაში. მნიშვნელოვანია საკითხია დაინტერესებული მხარეების (საზოგადოების) მონაწილეობა როგორც ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დაგეგმვის პროცესში, ისე მუშაობის პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური კამპანიის წარმართვა, რომელიც გულისხმობს როგორც საჯარო შეხვედრების, ერთობლივი აქციების და ლექცია-სემინარების ჩატარებას, ასევე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის მიწოდებას აქტიურად გამოიყენება ნარჩენების მართვის ინდუსტრიაში და მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს.

მეექვსე ნაწილი - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი

ნარჩენების მართვის მომავალი ვარინტების ანალიზის დროს, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინება და ასევე, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული „2012-2014 წლების მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის აუდიტის“ შედეგად გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება, იმისათვის რომ მიღწეული იქნეს *ნმესგ*-ით და ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლები.

6.1. შეგროვება და ტრანსპორტირება:

ა. ნარჩენების შეგროვება

ხობის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალის გაზრდა და 2018 წლიდან მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მომსახურეობის განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდზე. „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი გათვალისწინებულია მოსახლეობისაგან ნარჩენების შეგროვების ოთხი ძირითადი მიდგომა:

- **კოლექტიური შეგროვება** - ამ მიდგომის გამოყენების დროს ხდება საზოგადოებრივი ადგილების გამოყოფა, სადაც ხდება ერთი ან რამდენიმე კონტეინერის განთავსება, რომელიც ემსახურება მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას;
- **ნარჩენების ტროტურებიდან/გზისპირებიდან შეგროვება** - ამ მიდგომის გამოყენებისას, ნარჩენების წარმომქმნელები ინდივიდუალურ კონტეინერებს ათავსებენ გზის პირზე და ნარჩენების შეგროვების დასრულების შემდეგ მიაქვთ საკუთარი კონტეინერები;
- **უბან-უბან შეგროვება** - ნარჩენების შეგროვების ამ მეთოდის გამოყენების დროს ნაგავმზიდი ტექნიკის გადაადგილება ხდება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტისა და პერიოდულობის შესაბამისად, ჩერდება შერჩეულ ადგილებში და იძლევა სპეციალურ ნიშანს (მაგ. ზარის დარეკვა და ა.შ.);
- **კარდაკარ შეგროვება** - ეს მიდგომა გულისხმობს ნარჩენების წარმომქმნელების მიერ საკუთარი ნარჩენების თავიანთ კართან მიტანას (ეზოში) და გატანა ხდება ნარჩენების შემგროვებელი ბრიგადის მიერ. ნარჩენების წარმომქმნელი ამ პროცესში მონაწილეობას არ იღებს.

ხობის მუნიციპალიტეტი 2018-2022 წლებში ნარჩენების შეგროვებას განხორციელებს კოლექტიური შეგროვების პრინციპით, ვინაიდან აღნიშნული შეგროვების სისტემა ყველაზე ეფექტურია არსებულ პირობებში.

ბ. ტრანსპორტირება

შეგროვების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოსაყენებელ ტექნიკაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეგროვებული ნარჩენების დამუშავების ან/და განთავსების ობიექტზე ტრანსპორტირების ეფექტური პროცესის განხორციელება.

საპრესი მოწყობილობის არმქონე მცირე ზომის ნაგავმზიდები - ამ ტექნიკის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ადვილად ადაპტირებადია ურბანულ დასახლებაში არსებულ ვითარებასთან და უფრო მეტად ხელმისაწვდომია. ასეთი ტექნიკის რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას განსაკუთრებული სპეციალიზაცია არ ესაჭიროება და არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს ექსპლოატაციის პროცესში.

საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდები - თუ არსებობს ასეთი ნაგავმზიდების შეძენისა და მომსახურების შესაძლებლობები, მიზანშეწონილია ასეთი ტექნიკის აქტიური გამოყენება ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესში. ასეთი ტექნიკა თავსებადია სტანდარტულ კონტეინერებთან, მინიმალურია გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი. ძირითადი ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების შეგროვების ხელმისაწვდომი სისტემის ჩამოყალიბებაზე შემდეგია:

1. **ნარჩენების წარმოქმნის სიჩქარე** - საქართველოში ნარჩენების წარმოქმნის საშუალო სიჩქარე დღეში მერყეობს 0,3 კილოგრამიდან 0,5 კილოგრამამდე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. პარამეტრის გათვალისწინებით შესაძლებელია განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობა, ასევე, შესაძლებელია ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ან/და სოფლებში შესაგროვებელი ნარჩენების მოცულობის დადგენა;
2. **ნარჩენების სიმკვრივე** - საქართველოს მსგავსი ქვეყნების უმეტესობაში, ნარჩენების მაღალი სიმკვრივით გამოირჩევა - ერთი კუბური მეტრი ნარჩენი საშუალოდ 300-500 კილოგრამს იწონის;
3. **სატრანსპორტო პირობები** - გზების მდგომარეობა, მოძრაობის ინტენსივობა და განთავსების ადგილამდე მისასვლელი გზის მანძილი. ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობის სიმჭიდროვის, რელიეფის, საავტომობილო გზების მდგომარეობისა და მოძრაობის ინტენსივობის განსხვავებული პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სხვადასხვა ტექნიკა. შესაბამისად, ტექნიკის შერჩევის დროს გასათვალისწინებელ საკითხებს წარმოადგენს:
 1. მომსახურების სავარაუდო დონე (სიხშირე და ა.შ.);
 2. ნარჩენების შეგროვების პროცესში გამოსაყენებელი ადამიანური რესურსები (შრომითი დანახარჯები და სხვა);
 3. ნარჩენების შეგროვების მარშრუტების მახასიათებლები;
 4. ბიუჯეტის შესაძლებლობები
 ასევე, მნიშვნელოვანია შეგროვების მეთოდისა და ტრანსპორტირების პროცესში გამოყენებული ტექნიკის განსაზღვრის შემდეგ, სერვისის მიწოდება განხორციელდეს შემუშავებული მარშრუტებისა და შედგენილი გრაფიკების მკაცრი დაცვით

გ. წყაროსთან სეპარაცია

ნარჩენების წყაროსთან სეპარირების გამოცდილება საქართველოში მწირია, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ადდგენის ღონისძიებების არარსებობით. თუმცა, ასეთი შეგროვების მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვანი იქნება საპილოტე პროექტის სახით, სკოლებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში, რათა შემდგომში ფართოდ განხორციელდეს ღონისძიება მხარდაჭერილი იყოს საზოგადოების მხრიდან.

6.4. ინსტიტუციური მოსაზრებები

წარსულში განხორციელებული საქმიანობის ანალიზიდან გამოდინარე, მიზანშეწონილი იქნება ნარჩენების მართვის ოპერატორის - შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ სტრუქტურის შესაძლებლობათა გაძლიერება, რაც გულისხმობს ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე საშტატო ერთეულის რიცხოვნების გაზრდას, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების გაზრდის მიზნით ე.წ. „ბილინგის“ და მონიტორინგის სისტემის შექმნას, რომლიც გაზრდის გაწეული მომსახურების ხარისხს. „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება და ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში შესაბამისი ზომების (ინსპექტირება, კანონდამრღვევის გამოვლენა-დაჯარიმება და სხვა სანქციების) გამოყენება.

6.5. სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია. დღეს არსებული პრაქტიკით, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებების დაფინანსება მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორცილდება, ხოლო კაპიტალური და საინვესტიციო ხარჯების გაწევა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებით ან/და დონორი ორგანიზაციების მეშვეობით მიღებული გრანტებისა და სესხების საშუალებით. პერსპექტივაში სისტემის საოპერაციო/საექსპლოატაციო ხარჯების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის პრინციპის - „**დამბინძურებელი იხდის**“ - შესაბამისად, დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მეშვეობით მიღებული სახსრების მეშვეობით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს მოსაკრებლის სტრუქტურას და

ოდენობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია არ არის განსაზღვრული.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს დასუფთავების მოსაკრებლის დასაბუთებული სატარიფო სისტემა საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის დასაბუთებული ტარიფის გაანგარიშება (შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა/შემუშავება);
- კერძო სექტორისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის გაანგარიშება (შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა/შემუშავება);
- საზოგადოების მონაწილეობა მოსაკრებლის ტარიფის დადგენის პროცესში;
- დასუფთავების მოსაკრებლის ე.წ. „ბილინგის“ სისტემის შემუშავება და დანერგვა.

მეშვიდე ნაწილი - შედეგები და რეკომენდაციები

7.1. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის საჭიროებები

ნარჩენების მართვის ინდუსტრიაში არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ ნარჩენების შეგროვება-გატანის პროცესი სისტემის ყველაზე ძვირადღირებული ნაწილია. შესაბამისად, შეგროვება-გატანის სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების მართვის საერთო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია სისტემაში არსებული პრობლემური საკითხების პირველ რიგში გადაწყვეტა:

- დღეს არსებული ვითარებით, შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ არ გააჩნია ერთიანი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება ტექნიკის განთავსება და მოვლა-შენახვისათვის პირობების შექმნა. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოძიებული იქნა შესაბამისი ტერიტორია, მუშავდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის სადგომების მოწყობას, ავტოსამრეცხაოს მოწყობას, ავტოსახელოსნო ფართის მოწყობას, სათადარიგო ნაწილებისათვის და სხვა ინვენტარის განთავსებისათვის სასაწყობო ფართის მოწყობას;
- შერჩეულია ტერიტორია სადაც 2018 წლიდან განხორციელდება ორგანული ნარჩენების კომპოსტირება;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის გაფართოებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს წარმოქმნილი ნარჩენების მაქსიმალური შეგროვება, ასევე გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია 2018 წლისთვის 1,1 მ³ მოცულობის ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობის გაზრდა 250 ერთეულამდე;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის გაფართოებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს წარმოქმნილი ნარჩენების მაქსიმალური შეგროვება, ასევე გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია 2018 წლისთვის 0.06 მ³ მოცულობის 50 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა.
- ქაღალდის, პლასტიკის, მინისა და მეტალის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების მიზნით 2019-2022 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან საპილოტე პროგრამის დაფინანსება;
- ატივინარებული ნარჩენების დამჭერი მოწყობილობის მონტაჟი მდინარე ხობისწყალზე - სავარაუდო სიგრძე 45 მეტრი;
- ერთი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილის შესყიდვა მონიტორინგის ჯგუფისთვის;

7.2. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ სტრუქტურაში მიზანშეწონილი იქნება, არსებული სტრუქტურის შესაძლებლობათა გაძლიერება, რაც გულისხმობს:

- დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ფუნქციის გამოცალკევებას და ამ ფუნქციის შესასრულებლად ცალკე მიმართულების განსაზღვრას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მოსაკრებლის ადმინისტრირებაზე (ე.წ. „ბილინგის“ განყოფილება);
- მონიტორინგის მიმართულების განსაზღვრა, რომლის ფუნქცია უნდა განისაზღვროს როგორც გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი (ხარისხის კონტროლი და ა.შ.), „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება და ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში შესაბამისი ზომების (ინსპექტირება, კანონდამრღვევის გამოვლენა-დაჯარიმება და სხვა სახეების გამოყენება) მიღება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური კამპანიის წარმოებისათვის, მოსახლეობის მუდმივი ინფორმირებულობის მიზნით შესაბამისი პასუხისმგებელი პირის გამოყოფა.
- შპს-ს ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილი იქნება მისი სტრუქტურული მოწყობის გადახედვა და განსაზღვრული მიმართულებების სტრუქტურულ ქვედანაყოფებად - განყოფილებებად ჩამოყალიბება.

7.3. აღდგენის პროგრამების განხორციელების პროცედურები

- ქაღალდის, პლასტიკის, მინისა და მეტალის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების მიზნით 2019-2022 წლებში წლიური მინიმალური მაჩვენებლების განსაზღვრა;
- საჯარო სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პილოტური პროექტის განხორციელება 2019 წლიდან;
- საჯარო დაწესებულებებში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პილოტური პროექტის განხორციელება 2019 წლიდან;
- ნარჩენების წყაროსთან სეპარირებული შეგროვების საპილოტე პროექტის განხორციელებისათვის საჭირო იქნება 0,2 მ³ მოცულობის 300 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი 2019 წელს;
- კომპოსტირების პილოტური პროგრამის განხორციელება შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ მიერ, გამწვანების მიმართულების მეშვეობით 2018 წლიდან.

7.4. საზოგადოებრივი განათლების პროგრამა

- სტიქიური ნაგავსაყრელების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შემცირების მიზნით საინფორმაციო კამპანიის მუდმივ რეჟიმში წარმართვა, გამოყენებული იქნება ადგილობრივი მედია საშუალებები;
- საზოგადოების ჩართულობით ყოველთვიურად დასუფთავების აქციების ორგანიზება, ყოველწლიურად წინასწარ შემუშავებული გეგმით ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით;
- ნარჩენების წყაროსთან სეპარირების უზრუნველყოფის მიზნით, საწყის ეტაპზე საზოგადოების მომზადება - ინფორმირება;
- დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობა.


დანართი №1

ხოზის მუნიციპალიტეტის ნაგავზიდი ტექნიკის ნუსხა

№	მარკა	მოცულობა	გამოშვების წელი	მდგომარეობა	საწყისი ღირებულება (ლარი)
1	Mercedes	13 მ ³	2016	ახალი	202812
2	Mercedes	07 მ ³	2016	ახალი	238753
3	HyuN ^o dai	3 მ ³	2008	ძველი (მუშა მდგომარეობაში)	20000
4	GiN ^o af iveco	16 მ ³	2004	ძველი (ავარიულ მდგომარეობაში)	60000
5	DAF	21 მ ³	1999	ძველი (უვარგისი)	95000

დანართი №2

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაგავშემკრები კონტეინერების განთავსება



დანართი №3

ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებების დაშორება მუნიციპალიტეტის ცენტრიდან

№	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	დასახლება (ქალაქი, სოფელი)	ქ. ხობის ცენტრიდან ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლამდე მანძილი
1	ქ. ხობი	ქ. ხობი	
2	ახალი ხიბულა	ახალი ხიბულა	27
		გაშფერდი	27
		ზუბი	24
3	ახალსოფელი	ახალსოფელი	10
		განთიადი	13
		გალმა პირველი ხორგა	8
4	ბია	ბია	7
		ბია-საშონიო	10
		ზემო ბია	12

5	გურიფული	პირველი გურიფული	4
		მეორე გურიფული	4
6	ზემო ქვალონი	ზემო ქვალონი	8
		საალანო-საფაჩულიო	7
		სახოჭოლავო	9
7	თორსა-დღვაბა	თორსა	14
		დღვაბა	18
		საბუკიო	16
8	ნოჯიხევი	ნოჯიხევი	5
		ზენი	7
		კუთხენოჯიხევი	9
		ნაფოშტუ	5
		დასახლება	3
9	პირველი მაისი	ბულიწყუ	4
		საკვიკვინიო	6
		ჭიხუ	2
10	საჯიჯაო	ზენი	15
		გაღმა საჯიჯაო	22
		ზუბი	17
		ჯაპიშაქარი	18
11	ქარიატა	გაღმა ქარიატა	18
		გამოდმა ქარიატა	14
12	ქვემო ქვალონი	გიმოზგონჯილი	15
		ბულიში	16
		გვიმარონი	8
		დურდენა	17
		ჭითაუშქური	5
13	შუა ხორგა	გამოდმა შუა ხორგა	11
		გაღმა შუა ხორგა	13
		ყორათი	13
14	ჭალადიდი	საბაჟო	18
		საქორქიო	22
		საღვამიჩავო	23
		საჭოჭუო	21
15	ხამისკური	ხამისკური	15
		საკუკავო	17

		საქირო	13
16	ხეთა	ლარჩვა	7
		ნოჩხონი	10
		ოხვამეკარი	9
		წინაგოლა	7
		ხეთა	7
17	პატარა ფოთი	პატარა ფოთი	30
18	პირველი ხორგა	გამოდმა პირველი ხორგა	8
19	საგვიჩიო	საგვიჩიო	18
20	ყულევი	ყულევი	22
21	შავდელე	შავდელე	37
22	ძველი ხიბულა	ძველი ხიბულა	35

ხოზის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (2017 წლის მონაცემებით)

№	ტერიტორიული ერთეული	სოფელი	კომლი			მოსახლეობა			დეკნილი კომლი	დეკნილი მოსახლეობა
			სულ	სახეზე მყოფი	დროებით არმყოფი	სულ	სახეზე მყოფი	დროებით არმყოფი		
1	ახალი ხიზულა	ზუბი	252	244	8	776	764	12	10	21
		გაშვადი	224	208	16	720	698	22	11	31
		ახალი ხიზულა	145	141	4	490	480	10	9	22
2	ახალსოფელი	ახალსოფელი	268	182	86	677	614	63	1	7
		გალმა პირველი ხორგა	304	204	100	789	708	81	12	50
3	ბია	ბია	159	137	22	436	389	47	28	62
		ზემო ბია	14	9	5	42	24	18		
		ბია-საშონიო	81	77	4	211	182	29	4	11
4	გურიფული	პირველი გურიფული	160	138	22	450	408	42	16	46
		მეორე გურიფული	206	186	20	654	589	65		
5	ზემო ქვალონი	ზემო ქვალონი	294	268	26	637	600	37	9	13
6	თორსა-დღვაბა	თორსა	162	122	40	546	404	142	32	150
		საბუკიო	141	114	27	449	352	97	2	8
		დღვაბა	103	89	14	348	293	55	5	25
		ოქროს საწმისი	27	22	5	104	73	31	4	12
7	ნოჯიხევი	ნოჯიხევი	354	341	13	1548	1451	97	30	91
		ზენი	66	62	4	200	170	30	3	19
		დასახლება	101	96	5	470	438	32	38	175
		ნაფომტუ	170	162	8	351	304	47	19	26
		კუთხე ნოჯიხევი	109	103	6	287	248	39	8	24
8	პატარა ფოთი	პატარა ფოთი	426	290	136	1124	972	152	18	63
9	პირველი მაისი	ბულიწყუ	435	420	15	1238	1097	141	19	42
		საკვიკვინიო	222	215	7	609	554	55	10	33
		ჭიხუ	164	147	17	449	398	51	9	32
10	პირველი ხორგა	პირველი ხორგა	267	256	11	715	570	145	12	40

11	საგვიჩიო	საგვიჩიო	252	249	3	673	601	72	2	4
12	საჯიჯაო	ზენი	325	252	56	1062	814	275	46	110
		ზუბი	179	144	35	437	308	108		
		ჯაპიშაქარი	313	265	65	846	740	190		
		გალმა საჯიჯაო	128	89	39	384	238	56		
13	ქარიატა	გალმა ქარიატა	200	188	12	420	380	40	14	40
		გამოდმა ქარიატა	118	97	21	436	405	31		
14	ქვემო ქვალონი	ბულიში	150	148	2	581	559	22	2	3
		გვიმარონი	144	141	3	389	385	4	13	31
		გიმოზგონჯილი	268	263	5	857	829	28	14	46
		დურღენა	254	252	2	864	846	18	9	27
		ჭითაუშკური	108	106	2	322	309	13	11	43
15	ყულევი	ყულევი	163	118	45	335	300	35	3	16
16	შავდელე	შავდელე	306	201	105	819	674	145	6	15
17	შუა ხორგა	გამოდმა შუა ხორგა	218	186	32	683	607	76	14	53
		გალმა შუა ხორგა	169	132	37	571	529	42	9	29
		ყორათი	95	51	44	198	126	72	14	53
18	ძველი ხიბულა	ძველი ხიბულა	290	265	25	780	755	25	11	41
19	ჭალდიდი	საჭოჭო	142	117	25	410	383	27		
		საბაჟო	648	543	105	1797	1632	165	29	64
		საღვამიჩაო	134	97	37	361	318	43		
		საქორქიო	29	27	2	32	30	2		
20	ხამისკური	ხამისკური	198	190	8	652	568	84	13	13
		საკუკავო	182	176	6	568	502	66	15	35
		საქირიო	230	221	9	643	535	108	25	80
21	ხეთა	ლარჩვა	450	425	25	1281	1204	77	32	198
		ხეთა	249	239	10	641	602	39	23	121
		ოხვამეკარი	214	198	16	450	423	27	22	121
		ნოჩხონი	148	143	5	374	351	23	27	120
		წინაგოლა	265	251	14	715	671	44	31	137
22	ქ.ხობი	ქ. ხობი	2016	1901	115	6598	5008	1590	140	325
		სულ ჯამი:	13439	11908	1531	39499	34412	5087	834	2728


ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების გატანა თვეების მიხედვით (2017 წელი)

№	თვე	ნარჩენი (მ³)
1	იანვარი	476
2	თებერვალი	248
3	მარტი	220
4	აპრილი	244
5	მაისი	443
6	ივნისი	470
7	ივლისი	537
8	აგვისტო	441
9	სექტემბერი	380
10	ოქტომბერი	340
11	ნოემბერი	330
12	დეკემბერი	240
	სულ:	4369

1,1 მ³ მოცულობის ურნების განაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

№	ადმინისტრაციული ერთეული	ურნების რაოდენობა (ცალი)
1	ხოზი	42
2	ბია	3
3	საჯიჯაო	5
4	ახალი ხიბულა	2
5	ძველი ხიბულა	0
6	პირველი მაისი	5
7	ხეთა	5
8	ხამისკური	5
9	პირველი გურიფული	2
10	პირველი ხორგა	2
11	შუა ხორგა	2
12	ქარიატა	2
13	ყულევი	2
14	ჭალადიდი	2
15	პატარა ფოთი	2
16	ქვემო ქვალონი	4
17	ზემო ქვალონი	0
18	ნოჯიხევი	6
19	შავდელე	0
20	ახალსოფელი	2
21	საგვიჩიო	0
22	მეორე გურიფული	2
	სულ:	95

1.1 მ³ მოცულობის კონტეინერების განლაგება ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,
2018 წლისთვის



ხოზის მუნიციპალიტეტში 2018-2022 წლებში დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი

№	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება	სულ
2018 წელი				
1	კონტეინერები 1.1 მ³	150	800	120000
2	გარაჟი და სამრეცხაო	1	10000	10000
3	კონტეინერი 0,06 მ³	50	70	3500
4	მძლოლი	2	1000	12000
5	მუშა	2	600	7200
6	საწვავი	2	5400	10800
	ჯამი:	x	x	163500
2019 წელი				
1	კონტეინერი 0,06 მ³	50	70	3500
2	კომპოსტირება	1	2000	2000
3	კონტეინერი სეპარირებული შეგროვებისთვის	10	800	8000
	ჯამი:	x	x	13500
2020 წელი				
1	კონტეინერი 1.1 მ³	100	800	80000
2	კონტეინერი სეპარირებული შეგროვებისთვის	10	800	16000
3	ნაგავმზიდი 7 მ³	1	230000	230000
4	ნაგავმზიდი 13 მ³	1	200000	200000
5	მძლოლი	2	1000	12000
6	მუშა	4	1200	14400
7	საწვავი	2	10000	20000
	ჯამი:	x	x	572400
2021 წელი				
1	კონტეინერი 0,24 მ³	50	80	4000
2	კონტეინერი სეპარირებული შეგროვებისთვის	10	800	16000
3	კონტეინერი 0,06 მ³	100	70	7000
	ჯამი:	x	x	27000
2022 წელი				
1	კონტეინერი 1.1 მ³	50	800	40000
2	კონტეინერი სეპარირებული შეგროვებისთვის	10	800	16000
	ჯამი	x	x	56000
	სულ ჯამი:	x	x	832400



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №19
2018 წლის 27 თებერვალი
ქ. ხობი**

**„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ დანართის შესაბამისად:
2. განკარგულება ამოქმედდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის წესით) გადასაცემი ქონების ნუსხა

N	დასახელება	მისამართი	ფართი კვ.მ	სარგებლობის ფორმა	ორგანიზაცია რომელსაც გადაეცემა ქონება	სარგებლობის ვადა	საკადასტრო კოდი
1	ადმინისტრაციული შენობა	ქვემო ქვალონი	366,5	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.14.26.021
2	ადმინისტრაციული შენობა	ბია	616	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.03.03.401
3	ადმინისტრაციული შენობა	თორსა-დღვაბა	100	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.06.23.015
4	ადმინისტრაციული შენობა	ახალი ხიბულა	200	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.02.03.379
5	ადმინისტრაციული შენობა	ძველი ხიბულა	140	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.17.01.391
6	ადმინისტრაციული შენობა	პატარა ფოთი	231	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.08.01.578
7	ადმინისტრაციული შენობა	შავდელე		უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.08.28.033



ნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N20

2018 წლის 28 მარტი

ქ. ხობი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე
ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 106¹-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფის მიზნით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N21

2018 წლის 28 მარტი

ქ. ხოზი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო

ობიექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „დ“ პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 105 -ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და 119-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯოხავა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების
ნუსხა

ქონების დასახელება	მისამართი	რაოდენობა (ტონა)	აუდიტორული შეფასება	ბიჯი 10%	„ბე“ 10%
1 შავი ლითონის ჯართი	გაღმა საჯიჯაო	4	1000	100	100
	საჯიჯაო	0,2	50	5	5
	ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. 191 (ყოფილი კინოთეატრი „თუთარჩელა“)	0,6	150	15	15



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N22

2018 წლის 28 მარტი

ქ. ხოზი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქამე
5. აკაკი ხურცილავა
6. გია წულაია
7. გოჩა ჯობავა
8. ლაშა ცატავა
9. თემურ გულუა“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N23

2018 წლის 28 მარტი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის:

ა) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 430900 (ოთხას ოცდაათი ათას ცხრაასი) ლარს და ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან“.

ბ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	პროგრამის დასახელება	პროგრამის ბიუჯეტი (ლარი)	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	პროგრამის ღირებულება თითოეულ სუბიექტზე (ლარი)
1.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურება	65000	01.01.2018 - 31.12.2018	120	
2.	სადღესასწაულო დღეებში:	13200			
	მრავალშვილიანთა დახმარება	12000	01.01.2018 - 31.12.2018	80	150
	არასრულწლოვან ობოლთა დახმარება	450	01.01.2018 - 31.12.2018	3	150
	100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება	750	01.01.2018 - 31.12.2018	5	150
3.	დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	50000	01.01.2018 - 31.12.2018	350	პირველ და მეორე ბავშვზე - 100;

					მესამე-მეოთხე და მეხუთე ბავშვზე - 300, მეექვსე და ზევით ბავშვზე 600ლარი,
4.	სიდატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება (ყოველთვიურად)	9000	01.01.2018 - 31.12.2018	100 ოჯახი	1,77
5.	ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (ერთჯერადად)	30000	01.01.2018 - 31.12.2018		300-დან 3000-მდე
6.	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	55000	01.01.2018 - 31.12.2018		60-დან 200-მდე
7.	საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება პაციენტის მიერ გადასახდელი თანხიდან (500 ლარი და ზემოთ) (ერთჯერადად)	90000	01.01.2018 - 31.12.2018	50-70	ანგარიშ-ფაქტურით წარმოდგენილი ხარჯების 20%-იდან 50%-ის ფარგლებში და არაუმეტეს 2000 ლარისა
8.	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18000	01.01.2018 - 31.12.2018	15	100
9.	დევნილის დაკრძალვის ხარჯები	2000	01.01.2018 - 31.12.2018	10	200
10.	ომი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები	1500	01.01.2018 - 31.12.2018	6	250
11.	დახმარება ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის	1600	01.04.2018	16	100
12.	სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება	50000	01.01.2018 - 31.12.2018	40	500-დან 4000-მდე
13.	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება (9 მაისი)	1000	01.05.2018	2	500
14.	0-18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება	7000	01.01.2018- 31.12.2018	20-30	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით 100-500ლარამდე
15.	8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	1800	08.08.2018	9	200
16.	აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	3400	17.09.2018	17	200

17.	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმ-თა ერთჯერადი დახმარება	1400	26.05.2018	7	200
18.	უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი	3900	01.01.2018 - 31.12.2018	5	50-დან 150-მდე
19.	„C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსება პროგრამული მკურნალობის დასაწყებად (ერთჯერადად)	15000	01.01.2018 - 31.12.2018	80	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, თანადაფინანსება 70% და არა უმეტეს 350 ლარისა
20	ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება	2100	01.01.2018 - 31.12.2018	7	300
21	შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) დაფინანსება (ერთჯერადად)	10 0000		20-30	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, თანადაფინანსება 50% და არა უმეტეს 500 ლარისა
	ჯამი	430900			

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედითერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N24

2018 წლის 27 აპრილი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თანახმად N1 დანართისა.
2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2017 საბიუჯეტო წლის ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის 2446,5 ათასი ლარის ოდენობით.
3. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს თანახმად N2 დანართისა, მათ შორის:
 - ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 11856.4 ათასი ლარი (აქედან: გადასახადები - 7560.7 ათასი ლარი; გრანტები - 3755.0 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 540.7 ათასი ლარი);
 - ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 6098.3 ათასი ლარი (აქედან: შრომის ანაზღაურება - 1754.9 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება - 1165.2 ათასი ლარი; პროცენტი - 54.5 ათასი ლარი; სუბსიდიები - 2660.4 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 424.2 ათასი ლარი; სხვა ხარჯები - 39.1 ათასი ლარი);
 - გ) საოპერაციო სალდო - 5758.1 ათასი ლარი;
 - დ) არაფინანსური აქტივების ცვლილება - 5590.5 ათასი ლარი;
 - ე) მთლიანი სალდო - 167.6 ათასი ლარი;
 - ვ) ფინანსური აქტივების ცვლილება - -5.2 ათასი ლარი.
4. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს თანახმად N3 დანართისა.
5. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვროს თანახმად N4 დანართისა.
6. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N5 დანართისა, მათ შორის:
 - ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2531.0 ათასი ლარი (აქედან: აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა - 2476.5 ათასი ლარი; ვალთან დაკავშირებული ოპერაციები - 54.5 ათასი ლარი);
 - ბ) თავდაცვა - 122.1 ათასი ლარი;
 - გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 0,0 ათასი ლარი (ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა - 0,0 ათასი ლარი);

- დ) ეკონომიკური საქმიანობა - 4465.55 ათასი ლარი (აქედან: სოფლის მეურნეობა - 282.5 ათასი ლარი; ტრანსპორტი - 2209.2 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში - 1973.8 ათასი ლარი);
- ე) გარემოს დაცვა - 468.5 ათასი ლარი (აქედან: ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 370.8 ათასი ლარი, ჩამდინარე წყლების მართვა - 97.7 ათასი ლარი);
- ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა - 1691.8 ათასი ლარი (აქედან: წყალმომარაგება - 367.4 ათასი ლარი; გარე განათება - 214.5 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში - 1109.9 ათასი ლარი);
- ზ) ჯანმრთელობის დაცვა - 140.9 ათასი ლარი (აქედან: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 104.7 ათასი ლარი; ამბულატორიული მომსახურება - 36.2);
- თ) დასვენება, კულტურა და რელიგია - 934.2 ათასი ლარი (აქედან: მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში - 134.6 ათასი ლარი; მომსახურება კულტურის სფეროში - 45.8 ათასი ლარი; ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა - 4,3 ათასი ლარი; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა - 749.5 ათასი ლარი);
- ი) განათლება - 1083.2 ათასი ლარი (აქედან: სკოლამდელი აღზრდა - 1049.9 ათასი ლარი; ზოგადი განათლება - 1,6 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში - 31,7 ათასი ლარი);
- კ) სოციალური დაცვა - 356,9 ათასი ლარი (აქედან: ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 146,1 ათასი ლარი; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 102,2 ათასი ლარი; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას - 63,2 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში - 45,4 ათასი ლარი).
7. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 8243,8 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 8243,8 ათასი ლარის ოდენობით. 2017 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 11878,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 13791,4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 3844,9 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტია, მათ შორის: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 210,0 ათასი ლარი, ხოლო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები 3634,9 ათასი ლარი.

გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია 3755,0 ათასი ლარი, მათ შორის: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 210,0 ათასი ლარი, რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 3478,3 ათასი ლარი, გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან 66,7 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 383,8 ათასი ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შემოსულია 540,7 ათასი ლარი, 156,9 ათასი ლარით მეტი.

შემოსულობები „არაფინანსური აქტივების კლებიდან“ ბიუჯეტში გათვალისწინებული 50,0 ათასი ლარიდან შემოსულია 105,3 ათასი ლარი - 55,3 ათასი ლარით მეტი.

2017 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი, ბიუჯეტის შესრულების მიხედვით ათვისებულია 86,7 % (გეგმა 13791,4 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 11966,9 ათასი ლარი), რაც მოდის შემდეგ ღონისძიებებზე, კერძოდ: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი, გეგმით გათვალისწინებული 2941,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 2679,6 ათასი ლარი ანუ 261,9 ათასი ლარით ნაკლები.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა - გეგმიური 126,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 122,2 ათასი ლარი - ათვისებულია 4,6 ათასი ლარით, მათ შორის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - გეგმიური 126,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 122,2 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - გეგმით გათვალისწინებული 8060,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 6604,7 ათასი ლარი ანუ 1455,5 ათასი ლარით ნაკლები, აქედან: გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მათი მოვლა შენახვის ხარჯები - გეგმიური 2121,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 2049,5 ათასი ლარი, 72,4 ათასი ლარით ნაკლები.

ხიდ-ბოგირების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მათი მოვლა შენახვის ხარჯები - გეგმიური 480,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 182,4 ათასი ლარი, 297,7 ათასი ლარით ნაკლები.

გარე განათების ხარჯები - გეგმიური 252,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 214,5 ათასი ლარი, 38,0 ათასი ლარით ნაკლები.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 381,9 ათასი ლარი, შესრულება 367,4 ათასი ლარი, 14,5 ათასი ლარით ნაკლები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია - დაგეგმილი 1139,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 1109,9 ათასი ლარი - 29,2 ათასი ლარით ნაკლები.

სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 100,5 ათასი ლარი, შესრულება 97,7 ათასი ლარი, 2,8 ათასი ლარით ნაკლები.

დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები - გეგმიური 484,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 370,8 ათასი ლარი, 113,4 ათასი ლარით ნაკლები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 21,5 ათასი ლარი, შესრულება 16,3 ათასი ლარი, 5,2 ათასი ლარით ნაკლები.

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია - გეგმიური 1001,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 222,4 ათასი ლარი, 779,2 ათასი ლარით ნაკლები.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების ხარჯები - გეგმიური 2076,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 1973,8 ათასი ლარი, 103,1 ათასი ლარით ნაკლები.

საგანმანათლებლო ღონისძიებები გეგმიური 1091,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 1083,2 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ ხარჯი 1049,9 ათასი ლარი. საჯარო სკოლების დაფინანსება 1,6 ათასი ლარი. ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მიერ ათვისებულია 31,7 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - გეგმიური 988,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 935,3 ათასი ლარი. აქედან, სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 134,6 ათასი ლარი, კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 50,1 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 7,6 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 5,8 ათასი ლარი და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა - 737,2 ათასი ლარი.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 582,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 541,9 ათასი ლარი.

ფულადი სახსრების ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2446,5 ათას ლარს.

ხოზის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ-დეკემბრის თვის შესრულება		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმ წიფო ბიუჯე ტის ფონდე ბიდან გამოყო ფილი ტრანსფ ერები	საკუთა რი შემოსა ვლები		სახელმ წიფო ბიუჯე ტის ფონდე ბიდან გამოყო ფილი ტრანსფ ერები	საკუთა რი შემოსა ვლები
შემოსავლები	14,605.3	11,828.7	3,500.7	8,328.0	11,856.4	3,545.0	8,311.4
გადასახადები	7,889.4	7,600.0	0.0	7,600.0	7,560.7	0.0	7,560.7
გრანტები	6,079.5	3,844.9	3,500.7	344.2	3,755.0	3,545.0	210.0
სხვა შემოსავლები	636.4	383.8	0.0	383.8	540.7	0.0	540.7
ხარჯები	7,315.4	6,600.4	134.2	6,466.2	6,098.3	66.7	6,031.6
შრომის ანაზღაურება	2,109.5	1,790.2	0.0	1,790.2	1,754.9	0.0	1,754.9
საქონელი და მომსახურება	1,358.6	1,382.6	0.0	1,382.6	1,165.2	0.0	1,165.2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	70.4	54.5	0.0	54.5	54.5	0.0	54.5
სუბსიდიები	2,828.3	2,868.9	134.2	2,734.7	2,660.4	66.7	2,593.7
გრანტები	373.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	421.4	478.5	0.0	478.5	424.2	0.0	424.2
სხვა ხარჯები	153.3	25.7	0.0	25.7	39.1	0.0	39.1
საოპერაციო სალდო	7,289.9	5,228.3	3,366.5	1,861.8	5,758.1	3,478.3	2,279.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,531.7	6,917.9	3,727.5	3,190.4	5,590.5	2,612.4	2,978.1
ზრდა	5,953.9	6,967.9	3,727.5	3,240.4	5,695.8	2,612.4	3,083.4
კლება	422.2	50.0	0.0	50.0	105.3	0.0	105.3
მთლიანი სალდო	1,758.2	-1,689.6	-361.0	-1,328.6	167.6	865.9	-698.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,623.3	-1,912.7	-383.7	-1,529.0	-5.2	843.2	-848.4
ზრდა	1,873.1	0.0	0.0	0.0	843.2	843.2	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,873.1	0.0			843.2	843.2	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	249.8	1,912.7	383.7	1,529.0	848.4	0.0	848.4
ვალუტა და დეპოზიტები	249.8	1,912.7	383.7	1,529.0	848.4		848.4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ვალდებულებების ცვლილება	-134.9	-223.1	-22.7	-200.4	-172.8	-22.7	-150.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	134.9	223.1	22.7	200.4	172.8	22.7	150.1
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	134.9	223.1	22.7	200.4	172.8	22.7	150.1
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება	0.00	0.00			0.00		
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	828.40	2,451.70	272.30	2,179.40	2,451.70	272.30	2,179.40
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	2,451.70	539.00	-111.40	650.40	2,446.50	1,115.50	1,331.00
ნაშთის ცვლილება	1623.3	-1912.7	-383.7	-1529.0	-5.2	843.2	-848.4

დანართი N3

ხოზის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

დასახელება	კოდი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ-დეკემბრის თვის შესრულება		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		15,027.5	11,878.7	3,500.7	8,378.0	11,961.7	3,545.0	8,416.7
შემოსავლები	1	14,605.3	11,828.7	3,500.7	8,328.0	11,856.4	3,545.0	8,311.4
არაფინანსური აქტივების კლება	31	422.2	50.0	0.0	50.0	105.3	0.0	105.3
ფინანსური აქტივების კლება	32	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	33	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები	1	14,605.3	11,828.7	3,500.7	8,328.0	11,856.4	3,545.0	8,311.4
გადასახადები	11	7,889.4	7,600.0	0.0	7,600.0	7,560.7	0.0	7,560.7
საშემოსავლო გადასახადი					2,800.0			2,287.4
ქონების გადასახადი	113	4,814.1	4,800.0	0.0	4,800.0	5,273.3	0.0	5,273.3
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	2,928.4	2,933.0		2,933.0	3,198.5		3,198.5
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0.0	0.0			0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0.3	2.0	0.0	2.0	2.6	0.0	2.6
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0.0	2.0		2.0	-0.1		-0.1
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	0.3	0.0			2.7		2.7
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	300.7	280.0	0.0	280.0	270.0	0.0	270.0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	108.6	95.0		95.0	82.0		82.0
იურიდიულ პირებიდან	1131142	192.1	185.0		185.0	188.0		188.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	1,584.7	1,585.0	0.0	1,585.0	1,802.2	0.0	1,802.2

ფიზიკურ პირებიდან	1131151	48.5	35.0		35.0	55.3		55.3
იურიდიულ პირებიდან	1131152	1,536.2	1,550.0		1,550.0	1,746.9		1,746.9
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0.0	0.0			0.0		
სხვა გადასახადები	116	0.0	0.0			0.0		
გრანტები	13	6,079.5	3,844.9	3,500.7	344.2	3,755.0	3,545.0	210.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0.0	0.0			0.0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	0.0	0.0			0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	6,079.5	3,844.9	3,500.7	344.2	3,755.0	3,545.0	210.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	2,347.7	344.2	0.0	344.2	276.7	66.7	210.0
გათანაბრებითი ტრანსფერი		2,127.7	0.0			0.0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		220.0	210.0		210.0	210.0		210.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0.0	134.2		134.2	66.7	66.7	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3,731.8	3,500.7	3,500.7	0.0	3,478.3	3,478.3	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		2,883.5	3,500.7	3,500.7		3,478.3	3,478.3	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		848.3	0.0			0.0		
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი		0.0	0.0			0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი		0.0	0.0			0.0		
სხვა შემოსავლები	14	636.4	383.8	0.0	383.8	540.7	0.0	540.70
შემოსავლები საკუთრებიდან	141	392.3	190.0	0.0	190.0	244.7	0.0	244.7
პროცენტები	1411	141.4	0.0			83.5		83.5
დივიდენდები	1412	0.0	0.0			0.0		
რენტა	1415	250.9	190.0	0.0	190.0	161.2	0.0	161.2
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	199.3	160.0		160.0	84.4		84.4
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	51.6	30.0		30.0	76.8		76.8
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0	0.0			0.0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	79.3	73.8	0.0	73.8	129.7	0.0	129.7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	38.8	37.0	0.0	37.0	89.8	0.0	89.8
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	14222	0.0	0.0			0.0		
სანებართვო მოსაკრებელი	14223	13.1	6.0		6.0	69.4		69.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.0	0.0			0.4		0.4

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	25.7	31.0		31.0	20.0		20.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	40.5	36.8	0.0	36.8	39.9	0.0	39.9
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0.0	0.0			0.0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	40.5	36.8		36.8	39.9		39.9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	134.3	120.0		120.0	136.7		136.7
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	5.0	0.0			0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	25.5	0.0			29.6		29.6
არაფინანსური აქტივების კლება	31	422.2	50.0	0.0	50.0	105.3	0.0	105.3
ძირითადი აქტივები	311	325.2	0.0			58.7		58.7
		1.3.4. მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით გაანალიზებულია საინფორმაციო ბაზა საჭიროებების გამოვლენის, გასატარებელი ღონისძიებების და მუნიციპალური პროგრამების შესამუშავებლად	1.3.4.ა. გამოქვეყნებულია ანალიზის ანგარიშები და დასკვნები 1.3.4.ბ. გამოვლენილი საჭიროებები ასახულია მუნიციპალურ პროგრამებში			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018-2019 წწ
		1.3.5. მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულია ტრენინგები ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე	1.35.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი	ხოზის მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.

	1.4. დანერგილია გენდერული აუდიტი	1.4.1. ხობის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მიმართულებების მიხედვით ჩატარებულია გენდერული აუდიტი	1.4.1.ა. გამოქვეყნებულია გენდერული აუდიტის ანგარიში და რეკომენდაციები 1.4.1.ბ. პოლიტიკის დაგეგმარების დროს გენდერული აუდიტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 -2020 წწ
		1.4.2. მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულია ტრენინგები გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე	1.4.2.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018-2020 წწ
	1.5. ჩამოყალიბებულია სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემა	1.5.1. ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემა	1.5.1.ა. მიღებულია გადაწყვეტილება ყველა სამართლებრივი აქტის პროექტების გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით სავალდებულო ექსპერტიზის გავლის შესახებ			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო		2018 წ.
	1.6. გენდერულ საკითხებზე ხობის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება	1.6.1. ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და გენდერულ საკითხებზე გამოყოფილ/დანიშნულ პასუხისმგებელ პირებისათვის ჩატარებულია სპეციალური ტრენინგები გენდერული თანასწორობის, ეროვნულ და საერთაშორისო	1.6.1.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 1.6.1.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი გრანტები	ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.

		ვალდებულებების, მათ შორის გაეროს უშიშოროების საბჭოს რეზოლუცია 1325 - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გენდერულ მეინტრიმინგზე, გენდერულ ბიუჯეტირებაზე, გენდერულ სტატისტიკაზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე.						
		1.6.2. გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი და გენდერული თანასწორობის საბჭოს რამდენიმე წევრი გადამზადებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ეროვნული რეფერალური მექანიზმების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.	1.6.2.ა. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა 1.6.2.ბ. ტრენინგში მონაწილეთა მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი გრანტები	ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.
		1.6.3. ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე	1.6.3.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 1.6.3.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი გრანტები	ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.
		1.6.4. ჩატარებულია ტრენინგები და შეხვედრები ხობის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გენდერული მგრძნობელობის ასამაღლებლად.	1.6.4.ა. ტრენინგებისა და შეხვედრების რაოდენობა 1.6.4.ბ. ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი გრანტები	ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2018-2020 წ.წ.

		1.6.5. ორგანიზებულია საინფორმაციო შეხვედრები თემაზე - ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა . სამიზნე ჯგუფებთან: მერის წარმომადგენლები, სოფლის ექიმები, ბაღის პედაგოგები, სკოლის მასწავლებლები, მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები;	1.6.5.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა. 1.6.5.ბ. შეხვედრებში მონაწილე პირთა რაოდენობა		ადგილობრივი ბიუჯეტი გრანტები	ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018-2019 წ.წ. ყოველკვარტალურად
--	--	--	---	--	-------------------------------------	---	------------------------------------	--

		1.6.6. ხობის საკრებულოსა და მერის მიერ მიღებულ შრომის შინაგანაწესში გაწერილია ორგანიზაციის პოლიტიკა თანამშრომლებს შორის დისკრიმინაციის, ნებისმიერი ფორმით ძალადობის და მათ შორის სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის შესახებ; 1.6.6. ორგანიზაციის თანამშრომლები იცნობენ საქართველოს მთავრობის დადგენილება N200 – საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტს და შესაბამისად ინფორმაცია აქვთ ამავე დოკუმენტის 15-ე მუხლთან დაკავშირებით. 1.6.6. მუნიციპალიტეტის (საკრებულოს და მერიის) თანამშრომლების 70 % გავლილი აქვს სახალხო დამცველის საიტზე განთავსებული ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე“				ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გენდერზე პასუხისმგებელი პირი; გენდერული თანასწორობის საბჭო;	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.
--	--	---	--	--	--	--	------------------------------------	----------------

	1.7. მომზადებულია ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია და მისგან გამომდინარე მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა	1.7.1. მომზადებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია	1.7.1.ა. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია მომზადებულია საბჭოს მიერ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით 1.7.1.ბ. მერიისა და საკრებულოს მიერ განხილული, შეჯერებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2019 წ.
		1.7.2. გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად, მომზადებულია მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა	1.7.2.ა. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018- 2019 წლების შესრულების ანგარიშის და მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიის გათვალისწინებით გაწერილია მუნიციპალიტეტის ვის რიგით მეორე სამოქმედო გეგმა. 1.7.2.ბ. ახალ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სხვა			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2019 წ.

			დაინტერესებული მხარეები					
1.8. ჩამოყალიბებული ა და ფუნქციონირებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი	1.8.1. ჩატარებულია შესრულების ანგარიშის პროექტის პრეზენტაცია მერიის და საკრებულოს თანამშრომლებისათვის	1.8.1.ა.პრეზენტაციის მონაწილეთა სია 1.8.1.ბ. ანგარიშის პროექტის განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები			ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.	
	1.8.2. ჩატარებულია შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია ადგილობრივი ა/ო და დაინტერესებული პირებისათვის	1.8.2.ა.პრეზენტაციის მონაწილეთა სია 1.8.2.ბ. ანგარიშის პროექტის განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები			ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.	
	1.8.3. გენდერული თანასწორობის შესახებ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარდგენილია საკრებულოსათვის განსახილველად	1.8.3.ა. საკრებულოს მიერ განხილულია მონიტორინგის შედეგები, დასკვნები და ანგარიში 1.8.3.ბ. მონიტორინგის შედეგები, დასკვნები და ანგარიში გამოქვეყნებულია			ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.	
	1.8.4. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში შეტანილია ცვლილებები	1.8.4.ა. განახლებული და დამტკიცებულია მომავალი წლის სამოქმედო გეგმა			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოზის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2019 წ.	

		1.8.5. მომზადებულია წინადადებები სამოქმედო გეგმით მომდევნო წლის ღონისძიებების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტში შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის შესახებ. წინადადებები გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში	1.8.5.ა. 2019 და 2020 წ.წ. ადგილობრივ ბიუჯეტში ასახულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო		2018-2019 წ.წ.
1.9. გაძლიერებულია თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სამოქალაქო სექტორიდან		1.9.1. შექმნილია სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების განსაკუთრებით ქალთა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციის ბაზა;	1.9.1.ა. გამოქვეყნებულია ორგანიზაციების მონაცემთა საინფორმაციო ბაზა			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018-2019 წ. ყოველკვარტალურად
		1.9.2. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ ჩატარებულია შეხვედრები მათ შორის მოსახლეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა საკითხების დადგენის მიზნით;	1.9.2.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 1.9.2.ბ. შეხვედრებში მონაწილე ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეთა რაოდენობა			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018-2019 წ.
		1.9.3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გათვალისწინებულია სამოქალაქო სექტორის ჩართულობით განხილული და მათ მიერ წამოჭრილი საკითხები	1.9.3.ა. განხილული საკითხების რაოდენობა 1.9.3.ბ. გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018-2019 წ.

						თანასწორობის საბჭო		
2. ხობის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტი, მუნიციპალური პროგრამები და პროექტები განხორციელებული აქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინებით	2.1. დანერგილია გენდერული ბიუჯეტი	2.1.1. ჩატარებულია ხობის მუნიციპალიტეტის ბოლო სამი წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი	2.1.1.ა. ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები 2.1.1.ბ. ანალიზის შედეგები გამოქვეყნებულია			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.
		2.1.2. უზრუნველყოფილია ბიუჯეტის პროექტის მომზადების გამჭვირვალობა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობა	2.1.2.ა. ჩატარებულია ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვები/გამოკითხვები. 2.1.2.ბ. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვების/გამოკითხვების და მათში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.
		2.1.3. ჩატარებულია ტრენინგი ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში ჩართულ პირებისათვის გენდერული ბიუჯეტის თემაზე	2.1.3.ა. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა 2.1.3.ბ. ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი გრანტები	ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.
	2.2. მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტები განსაზღვრულია გენდერული ასპექტის გათვალისწინებით	2.2.1. ჩატარებულია საჭიროებათა კვლევა ქ. ხობის და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ჩართულობით;	2.2.1.ა. ჩატარებული კვლევის ანგარიში; 2.2.1.ბ. ჩატარებული შეხვედრების შედეგები 2.2.1.გ. დადგენილი პრიორიტეტები 2.2.1.დ. პრიორიტეტები ასახულია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში;			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	III კვარტალი 2018 წელი;

	2.3. შემუშავებულია კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის , განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის პოლიტიკა	2.3.1. ჩატარებულია კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, გენდერულ ჭრილში და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები	2.3.1.ა. კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები 2.3.1.ბ. რეკომენდაციები ასახულია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები	III კვარტალი 2018 წელი;
		2.3.2. მუნიციპალიტეტისა დმი დაქვემდებარებულ სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში საჭიროებების შესწავლის მიზნით ჩატარებულია არსებული მდგომარეობის ანალიზი გენდერულ ჭრილში და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები	2.3.2.ა. სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში ჩატარებული ანალიზის ანგარიში და რეკომენდაციები 2.3.2.ბ. რეკომენდაციები ასახულია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	III კვარტალი 2018 წელი;
	2.4. შემუშავებულია გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა	2.4.1. ახალგაზრდების საჭიროებების დადგენის მიზნით მინიმუმ ორი ფოკუს ჯგუფთან: ქ. ხობში მცხოვრებ ახალგაზრდებთან და მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან (მათ შორის შშმ და იძულებით გადაადგილებულ პირებთან) შეხვედრების ჩატარება	2.4.1.ა. ჩატარებული შეხვედრების და მათში მონაწილეთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით (შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები) და გენდერულ ჭრილში; 2.4.1.ბ. მიღებული რეკომენდაციები 2.4.1.გ. რეკომენდაციების ასახვა მუნიციპალურ პროგრამებში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები	III კვარტალი 2018 წელი;

		2.4.2. „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წ.წ.)“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის N349 განკარგულების შესაბამისად მომზადებულია რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ახალგაზრდული სათათბიროების ამოქმედების შესახებ.	2.4.2.ა. მიღებული გადაწყვეტილება ახალგაზრდული სათათბიროების შექმნის შესახებ 2.4.2.ბ. სათათბირო დაკომპლექტებულია განსხვავებული სქესით არანაკლებ 40% –ისა 2.4.2.გ. ჩამოყალიბებულია ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ჩართულია მუნიციპალიტეტის პროგრამების და პოლიტიკის ფორმირების პროცესში;			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი;
2.5. უზრუნველყოფილია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება	2.5.1. ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად ჩატარებულია სპორტის სახეობათა საჭიროებების და სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი;	2.5.1.ა. საჭიროებების და სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი 2.5.1.ბ. ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები 2.5.1.გ. რეკომენდაციების ასახვა ბიუჯეტსა და მუნიციპალურ პროგრამებში				ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
	2.5.2. ანალიზის საფუძველზე შემუშავებული და განხორციელებულია გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები და დაგეგმილია მომდევნო წლის სპორტული ღონისძიებები	2.5.2.ა. მიღებული და განხორციელებული გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები 2.5.2.ა. პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში				ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი

		2.5.3. სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პოპულარიზაცია	2.5.3.ა. მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულია შეხვედრა სადაც წარმოჩინებულია წარმატებული ქალი სპორტსმენები;			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
2.6. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში შემუშავებული და განხორციელებულია გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამები	2.6.1. ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარებულია მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა გენდერულ ჭრილში	2.6.1.ა. ჩატარებული კვლევის ანგარიში 2.6.1.ბ. კვლევის საფუძველზე მომზადებულია რეკომენდაციები 2.6.1.გ. რეკომენდაციები ასახულია მუნიციპალურ პროგრამებში				ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
	2.6.2. ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარებულია მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამების გენდერული ანალიზი	2.6.2.ა. ჩატარებული ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები 2.6.2.ბ. რეკომენდაციების ასახლა მოქმედ მუნიციპალურ პროგრამებში				ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
	2.6.3. ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე მომზადებულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროგრამები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად	2.6.3.ა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში მომზადებულია გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები				ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
	2.7.1. ჩატარებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების	2.7.1.ა. საჭიროებათა კვლევის შედეგები და რეკომენდაციები				ხობის მუნიციპალიტეტის მერია,	საქართველოს შრომის, ჯანმრთელო	2018 წელი

	2.7. შემუშავებული და განხორციელებულია გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები და ღონისძიებები	საჭიროებათა კვლევა გენდერულ ჭრილში. გამოვლენილია საჭიროებები ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად, შემუშავებული და განხორციელებულია შესაბამისი (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) პროგრამები	პრიორიტეტული პროგრამების შესახებ; 2.7.1.ბ. მიღებული და განხორციელებული შესაბამისი პროგრამები			ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	
		2.7.2. ორგანიზებულია საინფორმაციო შეხვედრები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე დარგის სპეციალისტების ჩართულობით	2.7.2.ა. შეხვედრების რაოდენობა 2.7.2. შეხვედრებზე დამსწერე მოსახლეობის მინიმუმ 40% არის განსხვავებული სქესის წარმომადგენელი;			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
		2.7.3. ხელშეწყობილია ადგილობრივი აგრონომების და ვეტერინარების გადამზადების პროგრამები ქალებისა და გოგონებისთვის, ასევე მამაკაცებისა და ბიჭებისთვის;	2.7.3.ა. მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროგრამების რაოდენობა 2.7.3.ბ. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2018 წელი

		2.7.4.ა. მომზადებულია სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო პაკეტი; 2.7.4.ბ. მომზადებულია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაცია; 2.7.4.გ. ინფორმაცია გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, დაბეჭდილია და გავრცელებულია საინფორმაციო ბუკლეტი, მომხმარებლებთან თეშში შეხვედრების დროს			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
2.8. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების	2.8.1. შესწავლილია მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის საჭიროებები გენდერულ კრილში	2.8.1.ა. მოწყვლად და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 2.8.1.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ კრილში 2.8.1.გ. ჩატარებული საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს არასამთავრობო	2018 წელი

	ას გენდერული ასპექტები						ორგანიზაცი ები	
		2.8.2. დევნილთა და სხვა ჯგუფების პრობლემების ადვოკატირება ერთი ფანჯრის პრინციპით	2.8.2.ა. გამოკვეთილი პრობლემების ანალიზი და რაოდენობა 2.8.2.ბ. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით გადაჭრილი საკითხები და დაკმაყოფილებული ბენეფიციარების რაოდენობა					
		2.8.3. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი იძულებით გადაადგილებული ქალებისა და გოგონების საჭიროებები განხილული და გადაწყვეტილია „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ჩატარებულ შეხვედრებზე	2.8.3.ა. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 2.8.3.ბ. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით გადაჭრილი საკითხები და დაკმაყოფილებული ბენეფიციარების რაოდენობა გენდერულ ჭრილსა და კატეგორიების					

			(მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი, შშმ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი იძულებით გადაადგილებული პირები) მიხედვით					
		2.8.4. საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური პოლიტიკა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით	2.8.4.ა. გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პოლიტიკის განსაზღვრის დოკუმენტები 2.8.4.ბ. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ ორგანიზებული აქტივობების რაოდენობა მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის ჩართულობით, მათი სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით 2.8.2.გ. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ ორგანიზებული აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი

		2.8.5. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით ამ ჯგუფების კატეგორიათა მიხედვით მომზადებულია მუნიციპალური პროგრამები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად	2.8.5.ა. კატეგორიათა მიხედვით მომზადებული მუნიციპალური პროგრამები 2.8.5.ბ. ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები და მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წ.
		2.8.6. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებისა და ახლაგაზრდების ეკონომიკური გაძიერებისათვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამები	2.8.6.ა. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებისა და ახლაგაზრდების სახელოვნებო-შემოქმედებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობა გაზრდილია;			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	2018 წელი

			2.8.6.ბ. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და გოგონები ჩართულები არიან სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში				არასამთავრობო ორგანიზაციები	
3. გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების) ცნობიერება გაზრდილია	3.1. მოსახლეობის ინფორმირებულია გაზრდილია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებზე	3.1.1. ჩატარებულია მუნიციპალიტეტის ყველა თემსა და დასახლებაში მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები	3.1.1.ა. მუნიციპალიტეტის თემებსა და დასახლებებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 3.1.1.ბ. მუნიციპალიტეტის თემებსა და დასახლებებში ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
		3.1.2. ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარებულია შეხვედრები და დისკუსიები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში	3.1.2.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 3.1.2.ბ. შეხვედრებზე განხილული საკითხების რაოდენობა და ჩატარების სახეები (საინფორმაციო შეხვედრა, საჯარო დისკუსია, ფილმის ჩვენება, ქალთა გაძლიერების წარმატებული მაგალითები)			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი

			3.1.2.გ. ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში					
		3.1.3. მომზადებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგია	3.1.3.ა. მიღებული საინფორმაციო სტრატეგიის დოკუმენტი			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრო ოპო რგანიზაცი ები	2018 წელი
		3.1.4. მომზადებული და გავრცელებულია საინფორმაციო ბროშურა ოჯახში, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ სერვისზე;	3.1.4.ა. მომზადებული და დაბეჭდილი საინფორმაციო ბროშურების რაოდენობა (მინიმუმ 3000 ცალი) 3.1.4.ბ. გავრცელებული ბროშურების რაოდენობა 3.1.4.გ. ბროშურის განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრო ოპო რგანიზაცი ები	2018 წელი
		3.1.5. სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად შემუშავებულია და განხორციელებულია 16 დღიანი კამპანიის ლონისძიებების გეგმა	3.1.5.ა. მიღებული16 დღიანი კამპანიის ლონისძიებების გეგმა 3.1.5.ა. 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ლონისძიებები			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრო ოპო რგანიზაცი ები	2018 წელი
		3.1.6. ორგანიზებულია ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების კამპანია	3.1.6.ა. მუნიციპალიტეტში ჩატარებული ლონისძიებები სოფლად მცხოვრები ქალების დღის აღსანიშნავად; 3.1.6.ბ. მუნიციპალიტეტში			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრო ოპო რგანიზაცი ები	2018 წელი

			ჩატარებული ლონისძიებები მშვიდობის დღის აღსანიშნავად					
		3.1.7. უზრუნველყოფილია ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის - „ხოზის მოამბე“-ს მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება	3.1.7.ა. მომზადებული გაზეთის სპეციალური რუბრიკა (მინიმუმ თვეში ერთხელ გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების შესახებ 5.1.7.ბ. გაზეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის გამუქება; 5.1.6.გ. საინფორმაციო პაკეტი დაბეჭდვა სახელმწიფო და არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ა(ა)იპ. გაზეთი „ხოზის მოამბე“ არასამთავრობო ორგანიზაცი ები	2018 წელი
	3.2. დაგეგმილია და გატარებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ლონისძიებები	3.2.1. ოჯახში ძალადობის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით სოფლებში და თემში არაფორმალური ლიდერების წარმოჩენა და მათთან თანამშრომლობა	3.2.1.ა. ყველა თემში და სოფელში გამოვლენილი არაფორმალური ლიდერი 3.2.1.ბ. არაფორმალურ ლიდერებთან ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაცი ები	2018 წელი
		3.2.2. სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები ადრეული	3.2.2.ა. სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული საინფორმაციო			ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, ხოზის მუნიციპალიტეტის	საქართველო ს განათლების ა და	2018 წელი

		ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობად	შეხვედრების რაოდენობა 3.2.2.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 3.2.2.გ. შეხვედრებზე გამოყენებული მასალები (კინო ჩვენება და დისკუსია)			საკრებულო	მეცნიერების სამინისტრო, სახალხო დამცველი არასამთავრო ობო ორგანიზაცი ები	
	3.2.3. გატარებულია ლონისძიებები ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციისათვის	3.2.3.ა. საკონსულტაციო/საი ნფრმაციო შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ 3) 5.2.3.ბ. დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა და მათში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში				ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველო ს ოკუპირებუ ლი ტერიტორიე ბიდან იძულებით გადაადგილ ებულ პირთა, განსახლების ა და ლტოლვილ თა სამინისტრო არასამთავრო ობო ორგანიზაცი ები	2018 წელი

		3.2.4. შემუშავებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა	3.2.4.ა. დამტკიცებული დახმარების პროგრამა 3.2.4.ბ. ძალადობის მსხვერპლთათვის დროებითი საცხოვრებლის დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა 3.2.4.გ. მუნიციპალიტეტის მიერ სავარაუდო მსხვერპლებისათვის და მსხვერპლებისათვის გაწეული უფასო იურიდიულ კონსულტაცია და დახმარება			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
	3.3 გაზრდილია ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში	3.3.1. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად დაგეგმილი და განხორციელებულია კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები: გამოფენები, ფილმის ჩვენება და დისკუსია;	3.3.1.ა. ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა 3.3.1.ბ. ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი
		3.3.2. მოძიებული და გაშუქებულია ხობის მუნიციპალიტეტში დაბადებული და მოღვაწე წარმატებული ქალების ისტორიები. მუნიციპალიტეტის მინიმუმ ერთი ქუჩას მიენიჭა წარმატებული ქალის სახელი	3.3.1.ა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაშუქებული ხობის მუნიციპალიტეტში დაბადებული და მოღვაწე წარმატებული ქალების ისტორიები. 3.3.2.ბ. ხობის საკრებულოს განკარგულება ქუჩისათვის წარმატებული ქალის			ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი

			სახელის მიენიჭების შესახებ					
--	--	--	-------------------------------	--	--	--	--	--



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N37
2018 წლის 9 აგვისტო
ქ. ხობი**

**საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების, 58-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 1 აგვისტოს №01/08/02 განკარგულების, შესაბამისად:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცეთ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ხობში - N1 ბაგა-ბაღის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობები;
- ბ) ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში - N2 საბავშვო ბაღის შენობა;
- გ) პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- დ) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში - კულტურის სახლის შენობა;
- ე) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ გაღმა საჯიჯაოს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა;
- ვ) ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასოფლო კლუბის შენობა;
- ზ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ბიბლიოთეკის შენობა;
- თ) ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასოფლო კლუბის შენობა;
- ი) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში - საბავშვო ბაღის შენობა;
- კ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - საბავშვო ბაღის შენობა.

2. საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ხობში - კულტურის სახლის შენობა;
- ბ) ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ ზუბის კლუბის შენობა;
- გ) ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- დ) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- ე) თორსა-დღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- ვ) ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში - ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;
- ზ) შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

თ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ი) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

კ) საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ლ) ძველი ხიზულის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N38

2018 წლის 27 აგვისტო

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით
გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

დანართი

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება

N	ქონების დასახელება	მისამართი	<u>სართული</u>	სარგებლობის ფორმა	შენობის საერთო ფართი (კვ.მ)	შენობის საბალანსო ღირებულება (ლარი)	გასაიჯარებელი ფართი კვ.მ	გასაიჯარებელი ფართის ღირებულება (ლარი)	საიჯარო ქირის განაკვეთი %	საიჯარო ქირა თვეში	წლიური საიჯარო ქირა
1	დამატებითი ქონება	თორსა- დღვაბა	I	იჯარა	729	14500	42.00	836	10	83,60	1003,20
2	დამატებითი ქონება	ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ N185	IV	იჯარა	1683	74036	19,25	846,80	10	84,68	1016,16



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N39
2018 წლის 27 აგვისტო
ქ. ხობი**

ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) წმინდა ნინოს ქუჩაზე (ჭალადიდის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს საგზაო ნიშანი „ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა“ 5 ტ. ზემოთ აკრძალულია (N3.12. - 2 ცალი);

ბ) წმინდა ნინოს ქუჩაზე (ჭალადიდის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს საგზაო ნიშანი „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ 50 კმ/სთ-ზე ზემოთ აკრძალულია (N3.24. - 2 ცალი).

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგზაო ნიშნების განთავსებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება 30 დღის ვადაში.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N40
2018 წლის 27 სექტემბერი
ქ. ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების
სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულების სათაურში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N41

2018 წლის 27 სექტემბერი

ქ. ხობი

**ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე
თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ათი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგთიკომზე“ გადაცემაზე, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
დამატებითი ქონება

N	ქუჩების დასახელება სადაც მდებარეობს ქონება	ბოძების რაოდენობა	აუდიტორული შეფასებით წლიური საიჯარო ქირა ერთ ბოძზე	სულ საიჯარო ქირა
1	კოლხეთის დასახლების შესასვლელი	9	2	18
2	ქ. ხობი სტალინის ქუჩა	28	2	56
3	ქ. ხობი ჩეხური ბინები	5	2	10
4	ქ. ხობი რუსთაველის ქუჩა	20	2	40
5	ქ. ხობი წერეთლის ქუჩა	8	2	16
6	ქ. ხობი კოსტავას ქუჩა	10	2	20
7	ქ. ხობი აღმაშენებლის ქუჩა	47	2	54
8	ქ. ხობი ვაჟა-ფშაველას ქუჩა	7	2	14
9	ქ. ხობი თავისუფლების ქუჩა	7	2	14
10	ქ. ხობი 9 აპრილის ქუჩა	6	2	12
11	ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უკან	8	2	16
12	თბილისი-ლესელიძის საავტომობილო გზა ხობის მუნიციპალიტეტის მონაკვეთზე	460	2	920
სულ		615		1230